# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 იანვარი 2007 №15 (2938) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერის ენა და აშვეთიას იენა

## ქართველი გერმანიაში რუსებმა წაიყვანეს



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია იენის „კარლ ცაისის" ფეხბურთელია — მხარეებმა კონტრაქტი გუშინწინ გააფორმეს, გუშინ კი მეორებუნდესლიგურმა კლუბმა ყველა საჭირო საბუთი მიაწოდა გერმანიის საფეხბურთო კავშირს და ახალწვეული საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანა. ასე დასრულდა 29 წლის ქართველი ფორვარდის უქმობა... მიხეილ აშვეთიას გუშინ იენაში დავუკავშირდით...

— შეიძლება ითქვას, ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდა. მაინც როგორ დაიწყო ეს ამბავი?

— მართლაც ძალიან მალე გადაწყდა ჩემი „კარლ ცაისში" გადასვლა. საქმე ისაა, რომ ამ კლუბის აქციათა საკმაო წილი რუსი ბიზნესმენების ჯგუფმა შეიძინა და მეც რუსი დამიკავშირდა — „კარლ ცაისის" სპორტული დირექტორი სერგეი კირიაკოვი. მან შემომთავაზა გერმანიაში თამაში და მეც დავთანხმდი.

— არადა, ამ დროს მარიუპოლის „ილიჩევეცს" ახლდი თურქულ შეკრებაზე...

— და მაგრადაც გადავრჩი...

— რას გულისხმობ?

— ორ დღეში კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა „ილიჩევეცთან" და კიდევ კარგი, არ მოესწრო, თორემ „კარლ ცაისი" გვერდზე დამრჩებოდა...

— და ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა „ილიჩევეცის" ფეხბურთელი იქნებოდი?

— სხვა გზა არ მქონდა. „ილიჩევეცის" ვარიანტი რომ გამოჩნდა, ბევრი არ მიფიქრია, უგუნდო-უვარჯიშებელი ვიყავი და...

— ითქვა, ამ ტრანსფერში დიდი როლი კლაუს ტოპმიოლერმა ითამაშა...

— მეც ასე ვიცი...

— შენთან არ ულაპარაკია?

— არა, კლაუსს არა, მაგრამ რალფ მინგე კი დამიკავშირდა...

— „კარლ ცაისის" მწვრთნელმა ჰაიკო ვებერმა განაცხადა, აშვეთია ტოპმიოლერის რეკომენდაციით ავიყვანეთო...

— ეს მეც მითხრეს...

— ისიც ითქვა, ტოპმიოლერი რამდენიმე დღეში ჩავა იენაში აშვეთიას სანახავადო...

— მართლა? ძალიანაც კარგი. ჩამოვიდეს...

— გუნდი როგორ შეგხვდა?

— კარგად, პრობლემა არ არის. ორჯერ უკვე ვივარჯიშე და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. მაინც ევროპაა და ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა — მოედანზეც და მის გარეთაც.

— რახან განაცხადში უკვე შეგიყვანეს, უახლოეს ტურშივე ითამაშებ?

— ამის დიდი იმედი მაქვს.

— რანომრიანი მაისურა მოგცეს?

— ეს ხვალ გადაწყდება, თუმცა ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს... მთავარია, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ისევ სასტუმროში ცხოვრობ თუ ბინა მოგცეს?

— ჯერჯერობით სასტუმროში ვარ, თუმცა არც ესაა პრობლემა — ყველაფერი მოგვარდება.

— ენის პრობლემა ალბათ შეგაწუხებს...

— ვისწავლი და აღარ შემაწუხებს. ახლა მხოლოდ თამაში მინდა და სხვა არაფერი...

— ოჯახი ჯერ არ წაგიყვანია?

— ჯერ არა. მალე ნაკრებში ვარ ჩამოსასვლელი და ოჯახსაც მერე წამოვიყვან.

**ბაჩა შალამბერიძე**



# დღეს ლომაიას ჯერია

დღეს იენაში საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიასაც ელიან. დიდი შანსია, აშვეთიას დარად, მასაც მალევე გაუფორმონ კონტრაქტი...

— ახლა გერმანიის ბილეთებს ველი და იენაშიც ჩავალ. ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, წესით, აშვეთიასთან ერთად უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ რაღაც პრობლემების გამო ეს ვერ მოხერხდა. დანარჩენს კი იენაში ჩასვლისას გავარკვევ — გვითხრა გუშინ ლომაიამ.

შეგახსენებთ, რომ ლომაიას სატრანსფერო უფლებები რუს ბიზნესმენ ანდრეი ჩერვიჩენკოს ეკუთვნის.

# GONZAL-YES!



AFP მელბურნიდან

ავსტრალიის ღია პირველობაზე ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა და მათ შორის არ არის მეორე ნომრად განთესილი ესპანელი რაფაელ ნადალი. ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს გუშინ სასწაულებრივად მოთამაშე ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა 6:2 6:4 6:3 გადაუარა და მის მიერ წინა ეტაპებზე ძლეული სხვა ფავორიტების — ლეიტონ ჰიუიტისა და ჯეიმს ბლეიკის გზას გაუყენა. გონსალესი ნახევარფინალში გერმანელ ტომი ჰაასს შეხვდება, რომელმაც გუშინ ხუთ სეტში აჯობა რუს ნიკოლაი დავიდენკოს. კაცთა მეორე ნახევარფინალი წინასწარ ფინალადაა შერაცხული: როჯერ ფედერერი ენდი როდიკის წინააღმდეგ. ქალებში კი სერენა უილიამსი ნიკოლ ვაიდიშოვას დაუპირისპირდება, ხოლო კიმ კლაისტერსი — მაშა შარაპოვას, რომელმაც გუშინ რუსულ დერბიში ანა ჩაკვეტაძეს 7:6 7:5 მოუგო.



AFP მელბურნიდან



გიორგი ფეიქრიშვილი



რომან გარკუშა და მიხეილ კაკალაძე, შესაძლოა, თანაგუნდელები გახდნენ

# ბორჯომი ექსბორჯომს იბრუნებს: ერთი ტორპედო, ორი ჩიხურა

**პირველ** წრეში „ბორჯომს“ რა შემადგენლობაც ჰყავდა, იმის შესაფერისი შედეგიც აჩვენა — კურორტელები წლეულს მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად თუ იბრძოლებენ.

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი ბორჯომშივე ვარჯიშობს, ორიოდ დღის წინ სოხუმის „ცხუმთან“ 4:4 ითამაშა, 27 იანვარს კი თბილისში შეკრებაზე მყოფ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრება „ლოკომოტივის“ დილმის ბაზაზე.

ბორჯომელთა მწვრთნელმა გვითხრა, ფინანსურ მდგომარეობას დიდად არ ვუჩივით და ახლა გუნდის დაკომპლექტებაზე ვზრუნავთო. ხაჩიძემ ისიც დაამატა, უკეთესი გუნდი გვეყოლება, ვიდრე პირველ წრეშიო.

„ბორჯომს“ ოთხი ახალი ფეხბურთელი ჰყავს — ყოფილ ამერელ ალექსანდრე კაიდარაშვილზე გეცოდინებათ, დანარჩენი სამნი კი „ტორპედოდან“ წასული რევაზ კვერნაძე და ყოფილი ჩიხურელები,



გიორგი მემარნიშვილი და ლევან მერებაშვილი არიან. გეხსომებათ, მემარნიშვილმა და მერებაშვილმა წინა სეზონი სწორედ „ბორჯომში“ გაატარეს.

**ილია ნანობაშვილი**

# დინამოს პლუს ორიც
## გარკუშას და ფეიქრიშვილს უჰრინი დღეს შეამოწმებს

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი შეუერთდა — 23 წლის ბელარუსი რომან გარკუშა და მისი ტოლი გიორგი ფეიქრიშვილი, ვინც პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობდა.

გარკუშა აპლუით მარცხენა მცველია და ეგებ ქუთაისის ტორპედოელებს ახსოვდეთ კიდეც — ის შარშანწინ ბორისოვის ბატე-ში იყო და უეფას თასზე „ტორპედოს“ წინააღმდეგ ითამაშა.

გეხსომებათ, მაშინდელი დაპირისპირება ბელარუსთა გამარჯვებით დასრულდა. რომან გარკუშა კი იმ სეზონის შემდეგ ბატე-მ პირველი ლიგის გუნდში გაანათხოვრა და თბილისშიც სწორედ იქიდან ჩამოვიდა.

გიორგი ფეიქრიშვილი კი ქართველი ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს — ბოლო ორი სეზონია, ის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფლანგელი ნახევარმცველია.

ჯერჯერობით სულ ესაა, რასაც ამ ფეხბურთელებზე გეტყვით, თუმცა კონტრაქტები თუ გაფორმდა და ეს ფეხბურთელები დინამოელები გახდნენ, უფრო მეტს გეტყვით.

ჯერ არ არის გადაწყვეტილი, წაიყვანს თუ არა დუშან უჰრინი გარკუშას და ფეიქრიშვილს ანთალიურ შეკრებაზე. გუშინ მათ გუნდთან ერთად ივარჯიშეს, დღეს კი „დინამო“ აზერბაიჯანულ „შახდაგთან“ ამხანაგურ მატჩს გამართავს და სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ იტყვის თბილისელთა ჩეხი თავკაცი, წაიყვანს თუ არა მათ ანთალიაში.

ანთალიაში „დინამო“ ხვალ მიემგზავრება და იქ 7 თებერვლამდე დარჩება. თურქეთშივე თბილისელებს, სავარაუდოდ, რამდენიმე უცხოელი უნდა შეუერთდეს. ავსტრალიელი ნედ ზელიჩისა და სლოვაკი მილოშ კრშკოს გარდა, მოსალოდნელია, რომ უჰრინის სამწყსო ორი-სამი ბრაზილიელით გაიზარდოს.

თურქულ შეკრებაზე „დინამოს“ ხუთი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. ჩვენების მეტოქეები უკრაინული „ილიჩევეცი“, „ვორსკლა“ და „კარპატი“, ასევე უზბეკური „მაშაჲ“ და სამხრეთკორეული „პიონგი“ იქნებიან.

**კობა ინასარიძე**

# ამბროზიოდან ჟოსიმარამდე
## გრემიოს თბილისელი ბრაზილიელი




**თბილისის** „დინამოდან“ წასული ბრაზილიელი მარჯვენაფლანგელი ჟოსიმარ ამბროზიო „გრემიოში“ რომ გადავიდა, ადრეც გაუწყეთ.

საინტერესოა, რომ ამბროზიოს ბრაზილიის ერთ-ერთ ტიტულოვან გუნდში ფეხის მოკიდება არ გასჭირვებია და 14 მატჩში ერთი გოლიც გაიტანა.

ამბროზიომ, რომელსაც გრემიოულ მაისურაზე ჟოსიმარი აწერია, შარშან, ნოემბრის ბოლოს დატოვა საქართველო, თუმც უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა.

აქვე გეტყვით, რომ „დინამოში“ გადასვლამდე ამბროზიო ბრაზილიურ „კრისიუმაში“, „ტაუბატეში“, „ბაიასა“ და „კურიტიბაში“ თამაშობდა.

**კახა შალამბერიძე**




**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში**

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ატარებს ფან-კლუბის წევრების ტურნირს მინი-ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფან-კლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფან-კლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს, ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს. გუნდს აქვს უფლება, ფან-კლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ პირად ხარჯებს (მოთამაშეების გაწევრიანებას, გადაადგილებას და ა.შ.).

თბილისსა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერფინალში. ტურნირის მთავარი პრიზი საიდუმლოდ რჩება — ეს ჯილდო ნებისმიერი გულშემატკივრისთვის ძალიან სასურველი იქნება.

განცხადებები მიიღება დღეიდან 20 თებერვლამდე.

დაგვიკავშირდით ნომერზე 542 542

ან მოგვწერეთ GEO_FANCLUB@YAHOO.COM

### იტალია

სერია A

გადადებული მატჩი

კატანია 2:1 ემპოლი

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

სამპდორია 0:3 ინტერი

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი

გადადებული მატჩი

ბეტისი 1:1 ბარსელონა

### ჰოლანდია

თასის მერვედფინალი

ტვენტე 1:2 ბრედა

სპარტა 2:3დ.დ. (2:2) *ვალვაიკი*

*უტრეხტი* 1:0 როზენდალი

*აიაქსი* 4:0 ჰაარლემი

### ამხანაგური მატჩები

ყატარი 1:2 ბაჰრეინი

საუდის არაბეთი 1:0 ერაყი

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

XXI ტური

მარსელი 3:1 ოსერი

ლილი 1:0 პსჟ

ლორიანი 1:0 ლანსი

სოშო 1:1 სედანი

ტრუა 1:0 ნანტი

ვალანსიენი 1:1 ლე მანი

ნიცა 0:1 ტულუზი

მონაკო 0:2 რენი

ლიონი 1:2 ბორდო

### ინგლისი

ლიგის თასი

ნახევარფინალი

პირველი მატჩი

ტოტენჰემი 2:2 არსენალი

### საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩი

კერკირა 0:0 ლარისა

### დსთ-ის ჩემპიონთა თასი 2007

მეოთხედფინალი

კაუნასი (ლიტვა) 1:1 (2:3პენ) ვენტსპილსი (ლატვია)

შერიფი (მოლდოვა) 1:0 ბატე (ბელარუსი)

ფახთაქორი (უზბეკეთი) 1:1 (4:2პენ) ოფკ (სერბეთი)

ცსკა (რუსეთი) 0:0 (3:2პენ) ბაკი (აზერბაიჯანი)

# თამაში ხალხისთვის

## ინტერვიუ დიდ წარსულთან 9 წელი უახალკაცოდ

დავით თავართქილაძე

დღეს ზუსტად ცხრა წელი შესრულდა ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებიდან. ამ პიროვნებამ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობით ქართველი ერის ისტორიაში ეპოქა შექმნა — მისი ხელმძღვანელობით „დინამომ“ ორჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი, ერთხელ — ჩემპიონატი, ხოლო 1981 წელს — ევროპის თასების მფლობელთა თასი. ... რამდენიმე წლის წინ მეგობრის არქივში საქართველოში 1979 წლის „ფუტბოლ-ჰოკეი“ აღმოვაჩინე, მაინცდამაინც ის ნომერი, რომელშიც ნოდარ ახალკაცის ინტერვიუ გამოექვეყნებინათ... საბჭოთა სპორტული პრესის ყველაზე პრესტიჟულ გამოცემაში ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ინტერვიუ იყო და, ვფიქრობთ, ფუჭად არ გავისარჯეთ, ის ახლა რომ გადმოვაქართულეთ — ამ ინტერვიუში ჩანს ახალკაცის, როგორც მწვრთნელისა და პიროვნების გარკვეული თვისებები. ინტერვიუ, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ, ახალკაცს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა საუკეთესო საფეხბურთო მიმომხილველმა ვალერი ვინოკუროვმა ჩამოართვა



**— როდესმე ჩამოურთმევიათ თქვენთვის ინტერვიუ უფრო თეორიულ საკითხებზე, ვიდრე პრაქტიკულზე?**

— არა, თუმცა შემოთავაზებები იყო. უარს ხან დაუფიქრებლად ვამბობდი, ხან კი ცდუნება მიპყრობდა ერთი შეხედვით განყენებულ თემაზე სასაუბროდ.

**— რატომ, თეორიას დიდად არ აფასებთ თუ შესაფერისი მომენტი არ იყო?**

— მიმაჩნდა, რომ ჯერ ადრე იყო, თეორიით დავკავებულიყავი, რადგან დაგროვილ გამოცდილებას არასაკმარისად ვთვლიდი. მეორეს მხრივ, ყოველთვის მეგონა, რომ უმჯობესია, პრაქტიკულად დაამტკიცო ესა თუ ის საკამათო ტენდენცია. დისკუსიები, რომელიც არ არის გამყარებული გუნდის თამაშით, უსარგებლოა.

**— მით უფრო დაბალია მწვრთნელის კვალიფიკაცია, თუ მას ეჭვი არაფერში ეპარება. ცხოვრებაშიც ისეა, რომ არაფერი ითვლება ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებულად...**

— ზუსტად ასეა ჩვენს საქმეშიც. კიდევ რამდენი რამ არის გამოუცნობი ფეხბურთში! ამიტომაც არის აუცილებელი თეორიული მომზადება და მეტიც, თეორიული განათლება. ტაქტიკის შექმნა დამოკიდებულია შემოქმედებით უნარზე, ნიჭზე. ასე ხდება მსოფლიო ფეხბურთში და ყოველი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი უნდა გრძნობდეს თანამედროვე ფეხბურთის პულსს.

**— ბოლო დროს თეორიის გარდა ბევრს ლაპარაკობენ ფუნქციონალურ, უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ფიზიკურ მომზადებაზეც...**

— საფეხბურთო თეორიის არსი იმაშია, რომ მომზადების ყველა კომპონენტი ერთმანეთს მჭიდროდ დავუკავშიროთ. ამ ყველაფერთან დაკავშირებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერ თეორიულ ტენდენციებს მოთამაშეები მაშინ შეითვისებენ, როცა ლაპარაკია კონკრეტულ მაგალითებზე, მატჩებზე, გუნდებზე...

**— და როგორ ემზადებით ასეთი თეორიული მეცადინეობებისთვის?**

— რისი თქმაც მსურს, ყველაფერს ვიწერ, როგორც სტატიას თუ ლექციას. როცა ასეთი ნაწერები ჩემ ხელთ არის, უფრო ადვილია იმპროვიზირება და რაღაცის დამტკიცებაც.

**— საამისო მასალებს საიდან იღებთ?**

— მაგალითები მომყავს არა მხოლოდ ჩემი გუნდის, არამედ სხვა გამორჩეული თამაშებიდან. ჩვენი გუნდის მატჩებიდან ჩვენი ფეხბურთელებისთვის მხოლოდ უარყოფით მაგალითებს ვარჩევ, რათა ყველამ თავიდან მოვიშოროთ ცხვირაწეულობა. რაც შეეხება სტატიებს და ლიტერატურას, ვეცნობი, როგორც ჩვენს, ასევე უცხოელ ავტორებს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ფეხბურთი უნდა წავიდეს მხოლოდ იმ გზით, რომელსაც ის ხედავს. ასეთ სტატიებს გუნდთან თეორიული მეცადინეობებისას მხოლოდ უარყოფითი მაგალითის ნიმუშად ვიყენებ.

**— შეუძლებელია, რომ ადამიანი მხოლოდ ერთ აზრს და შეხედულებას იზიარებდეს?**

— ალბათ, ეს მას შეუძლია, მაგრამ არგენტინაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ასე უგუნურად მოქცევა, არაკვალიფიციურობა იქნებოდა. ჩვენი გუნდი ადრეც არ ეწეოდა ვინმეს კოპირებას, ამას არაფრის გამო არ გავაკეთებდით. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი გზით უნდა წავიდეთ.

**— ერთ-ერთი წერილის ავტორმა თქვენი გუნდის თამაში იტალიის ნაკრებისას შეადარა...**

— აქ უთანხმოებას ვერ ვხედავ. უბრალოდ, ავტორმა შედარება გააკეთა, არ უთქვამს, რომ ჩვენ ვიღაცის კოპირებას ვახდენთ და თავისი აზრი არავისთვის მოუხვევია. მეორეს მხრივ, ასეთი შედარება ხაზს უსვამს იმას, რომ არის შესაძლებლობა, აირჩიო სხვადასხვა მიმართულება. იტალია თამაშის ორგანიზაციის მანერით ჰოლანდიას და ბრაზილიას ჩამოჰგავს. თბილისის „დინამოს“ კი ბევრი აქვს საერთო იტალიის ნაკრებთან თამაშის ორგანიზაციაში, ფეხბურთელების ტექნიკასა და ტემპერამენტში. ჰოდა, არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ უარი ამაზე და იმ მიმართულებას მივემხროთ, რომელსაც სხვა ძლიერი გუნდები ირჩევენ. ჩვენი სათამაშო აქცენტები განსაზღვრულია.

**— და როგორია ამ აქცენტების ფორმულირება?**

— როცა ბურთი შენ გაქვს, მთელი გუნდი უნდა ეცადოს გოლის გატანას და არა მოთამაშეების პატარა ჯგუფი. ამას მთელი მატჩის განმავლობაში უნდა ცდილობდე და არ უნდა ელოდო იმას, თუ როდის შეცდება მეტოქე. გოლის გასატანად შეტევითი არსენალის ყველა საშუალება უნდა გამოიყენო და არა მხოლოდ ორი-სამი ელემენტი.

**— არ მახსოვს, დისკუსიისას რომელიმე მწვრთნელს ეთქვას, ლამაზი ფეხბურთის წინააღმდეგი ვარო...**

— პირდაპირ ამას არავინ იტყვის. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებს რომ ვკითხოთ, როგორი თამაშის ყურება სურთ, ბევრი მწვრთნელი უმუშევარი დარჩება — ის თამაში, რომელსაც ზოგიერთი გუნდი აჩვენებს, არავის სჭირდება.

**— იმედია, მხოლოდ მჭერმეტყველებისთვის არ ამბობთ იმას, რომ თამაშის აგებისას მაყურებლის ინტერესებს ითვალისწინებთ...**

— ამაში სხვათა გარდა მწვრთნელის მოვალეობასაც ვხედავ. პატიოსანი მწვრთნელის ამოცანაა, მოთამაშეებს შემტევი სული შთაბეროს. თუ მათ თამაშის დანგრევისკენ მოვუწოდებთ, ვერასდროს აღვზრდით სპორტსმენ-მეომრებს.

**— თბილისის „დინამოს“ მწვრთნელისთვის ამაზე საუბარი ადვილია — თქვენ ხომ საქმე გაქვთ ბარაქიან კონტინგენტთან...**

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. გუნდში აუცილებლად უნდა იყვნენ ისეთი მოთამაშეები, მეტოქის მოტყუება, ტექნიკური ილეთების შესრულება რომ შეუძლიათ, რადგან სწორედ ამითაა შესაძლებელი დაცვის გავლა.

**— ვგრძნობ, რომ არა მხოლოდ უფროსი მწვრთნელის ამპლუაში იქნებოდით ასეთი მიმართულების მიმდევარი...**

— პროფესიით ხიდების ამგები ინჟინერი ვარ. შესაძლოა, ამის გამოც მახასიათებს ყველაფრის დაწყება წინასწარი გაანგარიშებით და ზრუნვა საძირკველზე. ხიდებიც არიან მძიმე და უშნოები, თუმცა აგრეთვე არიან საჰაერო და ლამაზებიც. ასეა ფეხბურთშიც...

**— რას გვეტყვით იმ მოსაზრებაზე, რომ ფეხბურთის მომავალი უნივერსალურ მოთამაშეებს ეკუთვნით?**

— იმის მომხრე ვარ, რომ ადამიანი თავისი საქმის ოსტატი იყოს. თუ ფეხბურთელს შეუძლია მოედნის ყველა მონაკვეთზე ოსტატურად თამაში, ეს კარგია იმ პირობით, თუ ის ინდივიდუალურობას არ კარგავს. დარწმუნებული ვარ, გუცაევს დაცვაში ბევრ მცველზე კარგად შეუძლია თამაში, მაგრამ ვის რაში სჭირდება ეს?

**— ანუ უნივერსალიზმი თამაშს არ ალამაზებს?**

— ასეა და ვფიქრობ, უნივერსალიზმზე საუბარი ჯერ ადრეა.

**— რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესდეს ის, რაც უკვე გაქვს?**

— რატომ უნდა დაიწყო რაღაც, როცა საქმე გასაგრძელებელია?! მე მიხეილ იაკუშინის დაწყებულს ვაგრძელებდი და ეს ნულიდან დაწყებას არ ნიშნავს. ბალეტმეისტერ მიხეილ ფოკინის მემუარებში „დინების წინააღმდეგ“ ერთი აზრი ამოვიკითხე — ის ჩადის ამერიკაში იმ მიზნით, რომ იქ ჩამოაყალიბოს რუსული ბალეტი და როცა მიმოიხედავს, აღმოაჩენს, რომ იქ უკვე არსებობს საცეკვაო ტრადიციები. ჰოდა, ფოკინი იცვლის თავის შეხედულებას, ეყრდნობა ადგილობრივ ტრადიციებს და ანვითარებს მას დიდი რუსული ბალეტის მიღწევებით. ჩემი აზრით, ასე უნდა მივუდგეთ ფეხბურთის განვითარებასაც. ფეხბურთს ისე უნდა შევხედოთ, როგორც დიდ ხელოვნებას, რომელიც ხალხისთვის არსებობს. არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთს ხალხისთვის ვთამაშობთ.

# დილა და სტადიონი ევროპისკენ მიიწევენ

## მიხეილ ლურსმანაშვილი: როცა შეგიძლია კარგის გაკეთება, უნდა გააკეთო



**ფული არ გვაქვს, შემდეგი მატჩი სტუმრად გვიწევს და მოვახერხებთ თუ არა ჩასვლას, არ ვიცით — ასეთი ან დაახლოებით ასეთი საუბრები ისმოდა გორის „დილადან“ ბოლო წლებში. ახლა „დილას“ იმდენად აღარ უჭირს: როგორც იქნა, კლუბიც და სტადიონიც კერძო ბიზნესმენმა შეისყიდა, ანუ გუნდს უკვე ჰყავს პატრონი... მიხეილ ლურსმანაშვილი ადგილობრივი კერძო მეწარმეა. „დილას“ ახლა ის პატრონობს და ჩვენც აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ გამართული ამხანაგური მატჩისას გავესაუბრეთ...**

— ფეხბურთის ქომაგი ვარ და, ბუნებრივია, „დილას“ გასაჭირი ყოველთვის გულთან მიმქონდა. ვფიქრობ, როცა რაღაც კარგის გაკეთების საშუალება გაქვს, უნდა გააკეთო.

**— მეტწილად ქართულ კლუბში ფულის დაბანდება წამგებიანია. თქვენ კი კლუბიც და სტადიონიც შეიძინეთ...**

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ... ამ ეტაპზე „დილამ“ მოგებები აუცილებლად უნდა დაიწყოს და ქულა ქულაზე უნდა დააგროვოს, ეს პირობა არ წაგვიყენებია. ბუნებრივია, შედეგზე აუცილებლად ვიზრუნებთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გორში ფეხბურთი გადარჩა.

**— „დილა“ ბოლოსწინა ადგილზეა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ალბათობა ძალიან დიდია. ალბათ, ესეც გაითვალისწინეთ...**

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ჩვენ შუა გზაზე არ მოვიტოვებთ კლუბს! გავვარდებით? საქმეს პირველი ლიგიდან დავიწყებთ. სანამ „დილას“ ჩავიბარებდით, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, რა დასამალია, სავალალო მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ. პროგრესს სულ მალე ნახავთ.

**— როგორც შევიტყვეთ, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე რეკონსტრუქცია უკვე დაიწყო...**

— დიახ. სტადიონი უეფას სტანდარტებში უნდა ჩაჯდეს, ეს ჩვენი გეგმაა და დაახლოებით ორ წელიწადში ბოლომდე შესრულდება. ახლაც საკმაო სამუშაოები მიდის. ორივე ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამები მონტაჟდება, კეთდება აგასახდელები, პრესლოჟა... ვიზუალურადაც შელამაზდება სტადიონი, რომელსაც არ შეეხედება, სანამ მეორე წრე დაიწყება, მინიმალური სამუშაოები უკვე დასრულებული იქნება, ცოტა შორეულ გეგმაშია, მაგრამ ჩვენი სტადიონი წმინდა საფეხბურთო სტილის უნდა გახდეს, ანუ სარბენი ბილიკების გარეშე. ასე უფრო იგრძნობა საფეხბურთო აურა...

**— მინდვრის საფარიც გამოიცვლება?**

— მინდორი კარგ მდგომარეობაშია, თუმცა დრენაჟი გაუკეთდება.

**— „დილაში“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვიდა. მეორე წრის დაწყებამდე სხვა შენაძენი არ იქნება?**

— აუცილებლად იქნება, თუმც ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ. ყველანაირად ვეცდებით, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ნახევარი წელიწადია, „დილას“ არც ოფიციალურ და არც ამხანაგურ მატჩში არ მოეგო, ამიტომაც ძალიან გამიხარდა, რამდენიმე დღის წინ „დინამო 2“ რომ დავამარცხეთ.

**— კლუბში მხოლოდ თქვენი ფული იხარჯება თუ სხვა ბიზნესჯგუფიც გეხმარებათ?**

— ჩვენ ვართ ერთი ჯგუფი, რომელსაც პირადად მე წარმოვადგენ.

**ილია ნანოგაშვილი**

## მეორე წრე

**მეთოთხმეტე ტური**
23 თებერვალი, პარასკევი
ბორჯომი – დინამო
ბათუმი – დილა
ოლიმპი – სიონი
მერანი – კახეთი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ჩიხურა – ამერი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

**მეთხუთმეტე ტური**
2 მარტი, პარასკევი
ამერი – ბათუმი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ბორჯომი
ზესტაფონი – მერანი
კახეთი – ოლიმპი
ტორპედო – ჩიხურა
დილა – დინამო

**მეთექვსმეტე ტური**
10 მარტი, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – ამერი
ბათუმი – ტორპედო
ჩიხურა – სიონი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
ოლიმპი – ზესტაფონი
მერანი – ლოკომოტივი

**მეჩვიდმეტე ტური**
17 მარტი, შაბათი
მერანი – ბორჯომი
ლოკომოტივი – ოლიმპი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
კახეთი – ჩიხურა
სიონი – ბათუმი
ტორპედო – დინამო
ამერი – დილა

**მეთვრამეტე ტური**
31 მარტი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
დილა – ტორპედო
დინამო – სიონი
ბათუმი – კახეთი
ჩიხურა – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ოლიმპი – მერანი

**მეცხრამეტე ტური**
7 აპრილი, შაბათი
ოლიმპი – ბორჯომი
მერანი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ჩიხურა
ზესტაფონი – ბათუმი
კახეთი – დინამო
სიონი – დილა
ტორპედო – ამერი

**მეოცე ტური**
13 აპრილი, პარასკევი
ბორჯომი – ტორპედო
ამერი – სიონი
დილა – კახეთი
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – ლოკომოტივი
ჩიხურა – მერანი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი

**ოცდამეერთე ტური**
21 აპრილი, შაბათი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
ოლიმპი – ჩიხურა
მერანი – ბათუმი
ლოკომოტივი – დინამო
ზესტაფონი – დილა
კახეთი – ამერი
სიონი – ტორპედო

**ოცდამეორე ტური**
27 აპრილი, პარასკევი
ბორჯომი – სიონი
ტორპედო – კახეთი
ამერი – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
დინამო – მერანი
ბათუმი – ოლიმპი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია

**ოცდამესამე ტური**
5 მაისი, შაბათი
ჩიხურა – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ოლიმპი – დინამო
მერანი – დილა
ლოკომოტივი – ამერი
ზესტაფონი – ტორპედო
კახეთი – სიონი

**ოცდამეოთხე ტური**
12 მაისი, შაბათი
ბორჯომი – კახეთი
სიონი – ზესტაფონი
ტორპედო – ლოკომოტივი
ამერი – მერანი
დილა – ოლიმპი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ჩიხურა

**ოცდამეხუთე ტური**
16 მაისი, ოთხშაბათი
ბათუმი – ბორჯომი
ჩიხურა – დინამო
ვიტ ჯორჯია – დილა
ოლიმპი – ამერი
მერანი – ტორპედო
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კახეთი

**ოცდამეექვსე ტური**
20 მაისი, კვირა
ბორჯომი – ზესტაფონი
კახეთი – ლოკომოტივი
სიონი – მერანი
ტორპედო – ოლიმპი
ამერი – ვიტ ჯორჯია
დილა – ჩიხურა
დინამო – ბათუმი

# უპენალტო ცხრაგოლა



კახა კვეტენაძე (მარჯვნივ) არც ჯანს უჩივის და არც ასაკს

**ტორპედო 5:4 ამერი 2**

1:0 ჭედია (7), 1:1 სილაგავა (13), 1:2 სევასტოპულო (19), 2:2 მაღლაფერიძე (28), 3:2 ლონლაძე 68), 3:3 ვაჩეიშვილი (72), 4:3 ლონლაძე (76), 4:4 ფოცხვერია (79), 5:4 ლონლაძე (82)

*ჩხეტიანმა ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა, 63), მშვილდაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე, 83)*

**ტორპედო:** კოდალაევი, ფარულავა, კილასონია, ლალაძე, ნ. ნადირაძე, თურქიშვილი, კვეტენაძე, დოლონაძე, ჭედია, მაღლაფერიძე, ზივზივაძე

*შეცვლაზე შევიდნენ: ქვილითაია, ზ. ჩხეტიანი, მ. ლონლაძე, კ. მახარაძე, წიქარიშვილი, თ. უგრეხელიძე*

**ამერი 2:** ნაჭყეპია, ბერიანიძე, მეტონიძე, ნაჭყებია, სილაგავა, ნატროშვილი, ვაჩეიშვილი, გიგიაძე, შენგელია, წაბრია, სევასტოპულო

*შეცვლაზე შევიდნენ: გვენცაძე, ფოცხვერია, სიჭინავა, მშვილდაძე, ფარფალია, ჯობავა, გაბრიჩიძე, ჩიკვაიძე, ბოჯგუა, ქავთარაძე, გადელია*

**ცხრა** გოლი, ორი გაფუჭებული პენალტი და რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი — საყურებლად კარგი, სახალისო თამაში იყო. თუმცა ხარისხზე თუ მიდგა საქმე...

ეს თამაში გოლების გარდა უხეში შეცდომების სიმრავლითაც გამოირჩა და ამადაც იყო, კმაყოფილი არც ერთი გუნდის მწვრთნელი რომ არ დარჩენილა...

ანგარიში მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ჭედიამ გახსნა, რასაც ამერელებმა ორით უპასუხეს: სილაგავამ სევასტოპულოს პასით გაიტანა, სევასტოპულომ კი — წაბრიას ჩაწოდებით. პირველი ტაიმი კი ფრედ დასრულდა: ვეტერანი კახა კვეტენაძის დარტყმულს მაღლაფერიძემ ზედ კარის ხაზთან წაჰკრა ფეხი და 2:2.

მეორე ტაიმის პირველი ნაღდი მომენტი კი „ამერი 2“-ის კარში დანიშნული პენალტი გამოდგა — წაბრიამ დოლონაძე წააქცია, პენალტი კი ჩხეტიანმა კარს ააცილა.

რამდენიმე წუთში ქუთათურები მაინც დაწინაურდნენ და ეს გოლი ამერელთა შეცდომათა კასკადს მოჰყვა — „ტორპედომ“ ჯარიმა ჩააწოდა, ბურთის გამოტანა სამმა მცველმა სცადა, მაგრამ კუთხურზე გადაგდების მეტი ვერ მოახერხეს, კუთხურიდან ჩაწოდებული კი ისევ მცველის ფეხიდან მიუვიდა ლონლაძეს, ვინც ამ გოლის გარდა მოგვიანებით კიდევ ორი გაიტანა და ჰეთ-თრიქი შეასრულა.

ამერელთა მესამე გოლი გასული ცხრიდან ყველაზე ეფექტური იყო: ჯობავას ჩაწოდებულზე ვაჩეიშვილმა ვარდნაში თავით იხეირა. „ტორპედოს“ კარში გასული ბოლო გოლი კი მეკარის უხეშ შეცდომას მოჰყვა — ქვილითაიამ პირდაპირ ამერელ თავდამსხმელ ფოცხვერიას მიუგორა ბურთი და მანაც საჯარიმოს გარედან ზუსტად გაისროლა.

ასეთი თამაშით „ტორპედოს“ მეორე წრეში ძალიან გაუჭირდება, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია და, როგორც გიორგი კიკნაძემ ნამატჩევს გვითხრა, მეორე წრეში „ტორპედო“ გაცილებით უკეთეს და გამართულ ფეხბურთს ითამაშებს.

**კოტე კეკელია**





კლაუს ტოპმიოლერმა
მიხეილ აშვეთიას სიტყვა შეაწია

# აშვეთია იქ არის, ლომაია მიდის

**სეზონის** ბოლომდე იენის „კარლ ცაისში“ — საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა მიხეილ აშვეთიამ კონტრაქტი უკვე გააფორმა და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომავალ ტურშივე მოირგებს „კარლ ცაისის“ მაისურას.

იენელები ძალიან კმაყოფილები არიან ახალი შენაძენით. „კარლ ცაისის“ ოფიციალური ვებგვერდი წერს, რომ ასეთი დონის ფორვარდის ხელში ჩაგდება მნიშვნელოვანი წარმატებაა მეორე ბუნდესლიგაში მობინადრე კლუბისთვის.

„ძალიან გახარებული ვარ, ეს ამბავი კონტრაქტის გაფორმებით რომ დაგვირგვინდა. აშვეთიას დიდი ხანია ვაკვირდებოდით და შემიძლია გითხრათ, რომ ის შესანიშნავი ადამიანი და ფეხბურთელია“ — განაცხადა „კარლ ცაისის“ მთავარმა მწვრთნელმა ჰაიკო ვებერმა, ვინც საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერსაც ემადლიერება დახმარებისთვის.

„კლაუსს ტელეფონით ვესაუბრე. მან პირდაპირ მითხრა, რომ აშვეთია „ბაიერნში“ ან „ვერდერში“ ვერ ითამაშებს, „კარლ ცაისს“ აუცილებლად გამოადგება, ის შესანიშნავი შენაძენი იქნება თქვენთვისო“ — ამბობს ვებერი და ტოპმიოლერს უახლოეს დღეებში ელის იენაში. გერმანული პრესის ცნობით, ტოპი დღედღეზე ჩავა აშვეთიასთან და პირადად მიულოცავს ამ ტრანსფერს.

და ერთიც: გადაწყვეტილია, რომ აშვეთიას გზას დაადგება საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, მეკარე გიორგი ლომაია. ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიადან“ წამოსვლის მერე ლომაია უქმადაა და სწორედ გერმანიში აპირებს გადაბარგებას.

**კახა შალამბერიძე**

# 19-წლამდელებმა უფროსები გაიტოლეს

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა თურქული შეკრების მეორე ტესტ-მატჩი გამართა და იქაური პირველი ლიგის ლიდერ „არაკლისფორს“ 1:1 ეთამაშა.

თურქები 48-ე წუთზე დაწინაურდნენ, ჩვენებმა კი 73-ეზე გაათანაბრეს — ლევან ყენიას კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შეცვლაზე შესულმა გიორგი ხიდეშელმა თავით ზუსტად დაარტყა — 1:1.

ქართველებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *რ. კვასხვაძე, ბენაშვილი, თომაშვილი, ქრიავიშვილი, სანაია (სალარიძე 60), წულაძე (ხიდეშელი 60), ნ. კვასხვაძე, თარგამაძე, დაუშვილი (ჯანელიძე 70), ყენია, მჭედლიძე.*

ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა კი ნამატჩევს ეს თქვა: „მეტოქეს ხუთი-ექვსი წლით უფროსი ფეხბურთელები ჰყავდა და ამის გათვალისწინებით, კმაყოფილების საბაბი ნამდვილად მაქვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. ერთი სიტყვით, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, ეს შეკრება ძალიან წაგვადგა. რაც შეეხება კონკრეტულ მოთამაშეს, ამჯერად როინ კვასხვაძის თამაშმა გამახარა — შესანიშნავად ხელმძღვანელობდა დაცვას“.



შეგახსენებთ, რომ 22 იანვარს ქართველმა 19-წლამდელებმა „ტრაბზონსფორის“ ახალგაზრდულ გუნდთან 0:2 წააგეს.

საქართველოს ნაკრები თბილისში დღეს დაბრუნდება.

**კახა შალამბერიძე**

# ბათუმს დინამო დაუბრუნეს

**მეორე** წრეში „ბათუმი“ ალბათ ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში. სხვა საქმეა, რომ ამ ქალაქს მომცრო ამბიციები არ უხდება და ჩემპიონობისთვის თუ არა, სამეულისთვის მაინც უნდა იბრძოდეს, თუმცა რომ იტყვიან, საბანი სადამდეც გაგწვდებაო...

„ბათუმის“ მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს თავიდან კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე ვკითხეთ და გვიპასუხა, ყველაფერი ნორმალურად იქნება, ბათუმში არავინ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ფეხბურთი ჩაკვდესო...

„შეკრება 3 იანვარს დავიწყეთ და ჯერჯერობით ერთი ტესტ-მატჩი ვითამაშეთ, რომელშიც ფოთის „კოლხეთს“ 3:1 მოვუგეთ კვარაცხელიას, კერესელიძის და დარჩიძის გოლებით. 25 იანვარს „დინამო 2“-ს ვეთამაშებით. მზადებას ბათუმში გავდივართ, თებერვალში კი ჩემპიონატის დაწყებამდე თურქეთში ვაპირებთ წასვლას, ოღონდ ვისთან გვექნება იქ ამხანაგურები, ჯერ არ ვიცით, ძალიან გვინდა, უმაღლესლიგელებს ვეთამაშოთ. მაგალითად, „ტრაბზონსფორს“ ან „რიზესფორს“— გვითხრა გოგიტიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი წრის შემდეგ ზღვისპირელებს ამირან მუჯირი და ალეკო კოშკაძე გამოაკლდნენ, გოგიტიძეს იმედი აქვს, რომ გუნდის შედეგები არ გაუარესდება. ჩემპიონატის დაწყების წინ მოსამზადებელი ეტაპი არ გაგვივლია და ტურიდან ტურამდე ვკრებდით ფეხბურთელებს, ამჟამად კი ეს პრობლემა არ გვაწუხებსო.

გოგიტიძეს თქმით, „ბათუმის“ დაკომპლექტება უკვე დასრულდა — გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა, თუმცა ცხრა ახალწვეულია. მათ შორის, ყველაზე გამოცდილი ვიტალი დარჩიძეა.

მოულოდნელი სიახლე კი ისაა, რომ „ბათუმი“ ისევ „დინამოს“ სტადიონზე ითამაშებს:

„ექვსი თვე ისევ „დინამოზე“ ჩავატარებთ საშინაო მატჩებს. ამ სტადიონის ნახევარი ტრიბუნა მოშლილია, თუმცა სხვა მხრივ არაფერი გაფუჭებულა... სეზონის დასრულების შემდეგ კი სხვა სარბიელზე გადავინაცვლებთ“ — გვაცნობა გოგიტიძემ.

ეტყობა, „ბათუმს“ საქმე სასიკეთოდ შემოუტრიალდა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# დავით მუჯირი ისევ დაშავდა

**თურქეთში** მყოფმა სამარის „კრილია სოვეტოვმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ლვოვის „კარპატთან“.

სამარელთა მწვრთნელი სერგეი ობორინი აქამდე ერიდებოდა დავით მუჯირის საკონტროლო თამაშებში ჩართვას, რათა ახალმოშუშებული ტრავმა არ გამიზეზებოდა და, წესით, პირველად მოედანზე სწორედ გუშინდელ თამაშში უნდა შეეშვა, მაგრამ... ქართველი ფეხბურთელი ვარჯიშზე დაშავდა და ისევ უსაქმოდ დარჩა.

სამარელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ფეხბურთელის ტრავმა სერიოზული არ არის და მუმუ ორ დღეში განაახლებს ვარჯიშს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


TRAVEL

24 მარტი
შოტლანდია-საქართველო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მასთან არსებული ტურისტული კომპანია "**GFF TRAVEL**"-ი გაძლევთ შანსს, უგულშემატკივროთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს...
... და გთავაზობთ ოთხდღიან დაუვიწყარ მოგზაურობას შოტლანდიაში. ყველა გულშემატკივარს, ფეხბურთის ფედერაცია ასაჩუქრებს მატჩზე დასასწრები ბილეთით.

იჩქარეთ!!! ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება 15 თებერვლამდე. ჩვენს ბიჭებს თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ!
ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: +995-32-917014; +995-32-917015; +995-77-900902.
მის: ჭავჭავაძის 76.

აქციის მხარდამჭერები არიან


# დემიანენკომ იმედაშვილი მაინც გაიყოლა

**ბევრი** იფიქრა თუ ცოტა, ანატოლი დემიანენკომ მაინც გადაწყვიტა დავით იმედაშვილის მეორე შეკრებაზე წაყვანა — კიევის „დინამო“ ახლა ისრაელშია, სადაც ოთხთა საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშებს.

თავიდან დემიანენკომ იმედაშვილის კიევში დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ ჩანს, ბოლოს აზრი შეიცვალა და ახალგაზრდა ქართველი მცველი მაინც წაიყვანა.



იმედაშვილი „დინამოს“ სატურნირო განაცხადშიც შეიყვანეს.

**კახა შალამბერიძე**

# მამამ შვილი ღვინოს შეადარა



მიშელ და ალდო პლატინები

**მოგეხსენებათ,** მოახლოვდა უეფას პრეზიდენტის არჩევნები და ისიც მოგეხსენებათ, რომ საპრეზიდენტო სავარძელს ერთმანეთს, 51 წლის მიშელ პლატინი და 77 წლის ლენარტ იუჰანსონი ედავებიან. პარასკევს მთელი ევროპა გაიგებს ვინ გაუძღვება ამიერიდან ევროპულ ფეხბურთს, მანამდე კი კანდიდატების გარშემო ჟურნალისტები ტრიალებენ და გარდა იმისა, რომ მათ აზრებს ჩხრეკენ, მათ შესახებ სხვათა შეხედულებებსაც იგებენ.

ადამიანი, რომლის მოსაზრებებსაც ქვემოთ გაგაცნობთ, მხარს პლატინის უჭერს, ასაკით კი მისი კონკურენტის ტოლია, 79 წლისა გახლავთ. თუმცა, ის, რომ ეს კაცი მხარს პლატინის უჭერს ბუნებრივია, რადგან ის თავად არის პლატინი, ალდო პლატინი, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ლეგენდის მამა:

„მიშელი ამბობს, რომ თუ არჩევნებს წააგებს, დასასვენებლად წავა, თან ისე, რომ ბილეთს მხოლოდ ერთი მიმართულებით იყიდის. მართალი გითხრათ, კარგად ვერ ვხვდები ზუსტად რას გულისხმობს ამაში, თუმცა რომ გითხრათ, არჩევნების წინ ნერვიულობს და ეს ნათქვამი ამის ბრალიაო, მართალი არ ვიქნები. ნერვიულობით მე ვნერვიულობ, მიშელი კი თავისუფლადაა“.

ალდო პლატინი ოდესღაც „ნანსის“ სპორტული დირექტორი გახლდათ. „ნანსი“ ის გუნდია, რომელშიც 1970-იან წლებში მისმა შვილმა ფეხი აიდგა, სანამ „სენტ ეტიენში“ და შემდეგ „იუვენტუსში“ გადავიდოდა.

ალდო პლატინი განაგრძობს: „ძალიან მინდა მიშელმა რომ გაიმარჯვოს. თუ ჩვენი შვილი უეფას პრეზიდენტი გახდება მე და დედამისი სიამაყით ავივსებით. ვერც კი წარმოვიდგენდი ასე შორს თუ წაქცეოდა. მან უამრავჯერ მრავალ წარმატებას მიაღწია. ის საფეხბურთო [illegible] და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორი გახლდათ. მან ბევრი იმუშავა რათა მიეღწია იმისთვის, რასაც მიაღწია. ის უეფას პრეზიდენტობას იმსახურებს. მერედა, მიშელი ჯერ 52-ისაც არ არის, იუჰანსონი კი 77-ისაა. მიშელს ბევრი რამის შეცვლა უნდა, ფეხბურთის განვითარება სურს. რაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, გამოიცვალა, გაცილებით დალვინებულია, თავს სულ სხვანაირად აკონტროლებს. ფეხბურთელობის დროინდელი მიშელი დღევანდელთან შედარებით ცა და დედამიწაა. მერედა, მას უამრავი მეგობარი ჰყავს. ისინი მას ეხმარებიან. გამოჩნდა უამრავი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა საკითხებში ამოუდგნენ მიშელს მხარში. მოკლედ, ჩემი შვილისთვის წარმატება კარიერის ლოგიკური გაგრძელება იქნება, თუმცა ვიცი, რომ წინ სირთულეები ელის“.

**ბაჰუნა ძედია**

# გაყინული რონალდო რესტორანში გალღვა



**იტალიური** „მილანის“ გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა და ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი „როსონერის“ საწვრთნელი ბაზის რესტორანში მადრიდის „რეალის“ სპორტულ დირექტორ ფრანკო ბალდინის შეხვდნენ. ცხადია, მათ რონალდოს სავარაუდო ტრანსფერზე ისაუბრეს. როგორც ჩანს, მხარეები შეთანხმებისგან ჯერ შორს არიან, მაგრამ ყინული დაიძრა.

„როსონერი“ აქამდე საჯაროდ ამბობდა, რონალდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიმატებთ, თავისუფალი აგენტი თუ იქნებაო, თუმცა „რეალის“ გენერალურმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, მას უფასოდ არ გავუშვებთო. სერბმა ისიც თქვა, „მილანის საქციელი არ მომწონს, ნორმალურად არ გვეკონტაქტება, შემოვლითი გზებით ცდილობს თავისი პოზიციის გამოხატვასო. როგორც ჩანს, მილანში ეს სიტყვები შეისმინეს და აი, ოფიციალური მოლაპარაკებებიც დაიწყო.

„მოლაპარაკებები დავიწყეთ. რონალდოს დამატება გვინდა, მაგრამ იგი დღეს და ხვალ ნამდვილად არ ჩამოვა მილანში. ჯერ ბევრი რამ არის შესათანხმებელი და არ ვიცი, როდის მოვრიგდებით ან საერთოდ შევძლებთ თუ არა ამას. ბალდინის ერთხელ უკვე ვესაუბრეთ და მოლაპარაკებები გაგრძელდება“ — განაცხადა გალიანიმ.

შეგახსენებთ, რომ „მილანს“ რონალდოს ყიდვა გასულ ზაფხულსაც სურდა და 16,5 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ „რეალმა“ მაშინ ბრაზილიელის შენარჩუნება არჩია. ამბობენ, მადრიდელებმა „კიჭაში“ 8,5 მილიონი ითხოვეს, მაგრამ მალევე 6,5 მილიონამდე ჩამოვიდნენო. „როსონერი“ ალბათ არც ამ თანხის გადახდაზეა ყაბულს, მაგრამ ზამთრის სატრანსფერო სეზონის დახურვამდე სულ რამდენიმე დღე რჩება და, სავარაუდოდ, ორივე მხარეს მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა. თუმცა ის, რომ რონალდო „სამეფო გუნდს“ დატოვებს, გადაწყვეტილია. იგი უკვე აღარც ვარჯიშობს მადრიდელებთან ერთად.

# ალექსმა ცივი უარი გაიხსენა



**ალესანდრო დელ პიეროს** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე უთქვამს უარი. ეს ამბავი მაშინ მომხდარა, როდესაც „კალჩოპოლის“ სკანდალის გამო ამოქმედებულმა ტრიბუნალმა „იუვენტუსს“ სერია B-ში გავარდნა მიუსაჯა. ამის შესახებ საზოგადოებას „სანის“ ფურცლებიდან თავად „პინტურიკიომ“ უამბო:

„დიახ, ეს მართალია.მე „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე ვთქვი უარი. მაშინ „იუვენტუსთან“ დაკავშირებით დატრიალებული ამბის გამო ძალიან განაწყენებული ვიყავი და წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ საბოლოოდ დარჩენა გადავწყვიტე, რადგან 13 წელიწადია „შავ-თეთრი“ ფორმით ვთამაშობ და ფეხბურთისთვის თავის დანებებაც ამ ფორმით მსურს. დარწმუნებული ვარ, ალექს ფერგიუსონმა ჩემი უარის მიზეზები სწორად გაიგო“.

შემდეგ საუბარი დელ პიერომ მის წინაშე წამოჭრილი სხვადასხვა ვარიანტები გაიხსენა.

„მოკლედ, ზაფხულზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩემი ტურინიდან წასვლა გამორიცხული სრულებით არ იყო, მაგრამ იტალიაში „იუვენტუსის“ გარეშე დარჩენა უბრალოდ გამორიცხული გახლდათ. ერთი სიტყვით იტალიაში თუ დავრჩებოდი, მხოლოდ „იუვეში“ უნდა ვყოფილიყავი და საერთოდაც, დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა და საბედნიეროდ ტურინში დავრჩი“.

შაბათს, „ბარისთან“ შეხვედრაში კი „პინტურიკიომ“ „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში 500-ე შეხვედრა ჩაატარა.

„სიამოვნებით ვითამაშებდი „იუვეში“ არათუ ჩემი კონტრაქტის ბოლომდე ანუ 2008 წლამდე, არამედ მას შემდეგაც — თქვა ვარსკვლავმა — არ მინდა თავი სხვა გუნდის მაისურში ვნახო“.

**ბაჰუნა ძედია**

# ვანმა ვანს უთხრა...

**რუუდ ვან ნისტელროიმ** საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მარკო ვან ბასტენის ხელქვეით ნაკრებში აღარ ითამაშებს. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელს მწვრთნელთან ურთიერთობა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე წაუხდა და მას შემდეგ ვან ბასტენს აღარც გამოუძახია. ვან ნისტელროიმ კი 53 სანაკრებო მატჩში 27 გოლის გატანა მოასწრო.

„სამწუხაროა — თქვა ფორვარდმა — ძალიან გული მწყდება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, პირადად არასდროს მითხოვია მწვრთნელისთვის ადგილი გუნდში, თუმცა უკვე კარგა ხანია ვგრძნობ, რომ მას არ ვჭირდები“.



მარკო ვან ბასტენი ფეხბურთელს მადრიდში ეწვია მოსალაპარაკებლად, მაგრამ ვერ მორიგდნენ. „გულახდილად ვისაუბრეთ — განაცხადა მწვრთნელმა —ყველაფერზე, რაც ჩვენს შორის მოხდა შარშან და რამაც ურთიერთობის გაფუჭება გამოიწვია. ისიც ვუთხარი, რომ მისი პოზიცია ნაკრებში ძველებურად მყარი ველარაა და ახალ თავდამსხმელებს მოვსინჯავთ. გარანტიას ვერავის მივცემ, რადგან ეს უსამართლობა იქნება სხვების მიმართ. რუუდმა უარი თქვა ჩემთან თანამშრომლობაზე და მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ“.

**ირაკლი ნინიძე**

# ზეედორფს ხელები შეუკრეს

**„მილანმა“** განაცხადა, რომ კლარენს ზეედორფი 2011 წლის 30 ივნისამდე გუნდში რჩება. ასე და ამგვარად, ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა იტალიურ გიგანტთან ახალ ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. საინტერესოა, რომ 2011 წელს ზეედორფი უკვე 35 წლისა იქნება და „მილანში“ თამაშის ცხრასეზონიანი გამოცდილებით მოიწონებს თავს.

ზეედორფი „მილანში“ „ინტერიდან“ 2002 წელს გადავიდა. „ინტერამდე“ იგი თამაშობდა „აიაქსში“, „სამპდორიასა“ და მადრიდის „რეალში“. იგი გახლავთ პირველი, ვინც ჩემპიონთა ლიგა სამი სხვადასხვა გუნდის, „აიაქსის“, „რეალისა“ და „მილანის“ შემადგენლობაში მოიგო. „მილანთან“ ერთად ჰოლანდიელმა მოიპოვა აგრეთვე იტალიის ჩემპიონის ტიტული ანუ სკუდეტო, ევროპის სუპერთასი, კოპა იტალია და იტალიის სუპერთასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალი გარეცხეს და დაპატარავდა



იგუაინი „მალიორკასთან“ ყველაზე პატარა რეალელი იყო

**„რეალში“** მეორედ მისულმა ფაბიო კაპელომ პირველი ოფიციალური მატჩი 2006 წლის 23 აგვისტოს „ანდერლეხტთან“ გამართა „სანტიაგო ბერნაბეუს“ თასზე. იმ შეხვედრაში მოედანზე იყო 30 წელს გადაცილებული ექვსი ფეხბურთელი. მწვრთნელმა სათამაშოდ გაიყვანა ყველა ახალწვეული, რომელთა ყიდვასაც ითხოვდა: რუუდ ვან ნისტელროი, ემერსონი და ფაბიო კანავარო. მაშინ ისე ჩანდა, რომ სწორედ ეს სამი კაცი შექმნიდა ჯილდოების მომგები გუნდის ღერძს.

ემერსონი და კაპელო ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ. ბრაზილიელი თამაშობდა „რომაში“, სადაც იტალიელი მწვრთნელი იყო და კაპელომ „იუვეში“ გადასვლის შემდეგ ფეხბურთელიც გაიყოლა. იქ მათ დახვდათ კანავარო, დონ ფაბიოს კიდევ ერთი ფავორიტი, რომელიც „ინტერიდან“ გადაბარგდა „იუვენტუსში“ და გასულ წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მწვრთნელი „რეალში“ გადავიდა და კარგად ნაცნობი ორი მოთამაშეც თან წაიყვანა. რაც შეეხება რუუდ ვან ნისტელროის, კაპელოს აზრით, სწორედ ჰოლანდიელი უნდა ყოფილიყო რონალდოს იდეალური მეწყვილე. ფაქტობრივად, რამონ კალდერონმა შეასრულა ყველაფერი, რაც იტალიელმა თავკაცმა სთხოვა.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ „ანდერლეხტთან“ სათამაშოდ გასული „რეალის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 28 წელი და სამი თვე იყო, მაგრამ გავიდა ხუთი თვე და აი, რა ხდება გასულ უქმეებზე — „მალიორკასთან“ მოთამაშე „რეალი“ ოთხი წლით „დაპატარავდა“ — საშუალო ასაკი უკვე 24 წელი და ოთხი თვე გამოვიდა. როგორც ესპანელი მიმომხილველები ამბობენ, ფაბიო კაპელოს პირველმა გეგმამ არ გაამართლა და ამჟამად ახალგაზრდებზე აპირებს გუნდის აწყობას. „მალიორკასთან“ „რეალმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კასილიასი (25 წლის), რამოსი (20), ელგერა (31), კანავარო (33), ტორესი (20), გაგო (20), დიარა (25), რეიესი (23), იგუაინი (19), რობინიო (22), ვან ნისტელროი (31).

ფაბიო კაპელომ გუნდის გაახალგაზრდავებით შეძლო თამაშის გამოცოცხლება. ადრე, ესპანელ ჟურნალისტებს თუ დავესესხებით, „რეალი“ დადიოდა, ახლა კი ამას ვეღარ ვიტყვით. ცხადია, ჯერ ადრეა იდეალურ ფორმაზე საუბარი. ანუ ისეთ თამაშზე, როგორც „სამეფო კლუბს“ ეკადრება, მაგრამ ფაქტია, რომ პატარებს ბრძოლის უფრო მეტი ჟინი და წყურვილი აქვთ.

**ირაკლი ნინიძე**



# ათი ათასი ტოტი

**იტალიური** „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი იოლად გამოძვრა. სადისციპლინო კომიტეტმა მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ „სიენასთან“ შეხვედრას გამოტოვებს და 4 თებერვალს „სან სიროზე“ „ინტერთან“ პრინციპულ მატჩში მინდორზე იქნება.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე „ლივორნოსთან“ მატჩში ტოტის ისევ უღალატა ნერვებმა. ერთ-ერთ ეპიზოდში მას ტოსკანელთა მცველი ფაბიო გალანტე ეუხეშა, ტოტიც გაექაჩა. მსაჯმა ნიკოლა აიროლდიმ მას წითელი ბარათი უჩვენა, რამაც „გლადიატორთა“ ლიდერი ისე გააბრაზა, რომ პირადი მწვრთნელი ვიტო სკალაც არ დაინდო და ისე ჰკრა ხელი, რომ წააქცია. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გარდა, ტოტი დაახლოებით 10 ათასი ევროთიც დააჯარიმეს. „რომას“ გენერალურმა დირექტორმა როზელა სენსიმ კი თქვა, ეს საკითხი უნდა განვიხილოთ და შეიძლება იგი ფულადი ჯარიმით ჩვენც დავსაჯოთო.

აქვე დისციპლინარული კომიტეტის ერთ გადაწყვეტილებაზეც ვთქვათ, „კატანიას“ თავისი მთავარი მეგოლისა და სერია **A**-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის ჯორჯიო სპინეზის გარეშე სამი მატჩის ჩატარება მოუწევს. მან „კალიარისთან“ მატჩში ისიმულანტა და მსაჯი გამოლანძღა.

**კოკი კანდელაკი**

# რა სარგებლობა მოაქვს გინებას?

**რაგინდ** უცნაურად არ უნდა გეჩვენოთ, იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ მცველს, მსოფლიოს ჩემპიონ მარკო მატერაცის მშვიდობისთვის მებრძოლმა მსოფლიო ორგანიზაციამ საგანგებო ჯილდო გადასცა. თუ ვინმეს დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ საუბარია სწორედ იმ ადამიანზე, რომელმაც გასულ ზაფხულს, 9 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთის ნაკრების კაპიტანს ზინედინ ზიდანს პროვოკაცია მოუწყო, შეაგინა, ჩხუბზე გამოიწვია და მსაჯს მოედნიდან გააგდებინა. ამ დანაშაულისთვის ფიფამ მატერაცი ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

და აი, მარკო მატერაცი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონთა გუნდის სიმბოლო და „მშვიდობის კაცი“ დააჯილდოვეს პრიზით, რომელსაც ჰქვია „ფეხბურთისა და მშვიდობის მსოფლიო ჯილდო“. ჯილდო სხვასთან ერთად შეიცავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია-ასოციაციათა პრეზიდენტების სამშვიდობო მესიჯებს.

მარკო მატერაცი, აგრეთვე მშვიდობის ელჩად დაასახელეს. დაფასებულ ვარსკვლავს ჯილდო „ინტერის“ „აპიანო ჯენტილეს“ საწვრთნელ ცენტრში მშვიდობისთვის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა კარლოს პერატლტამ მიუტანა.

ზოგადად, ხსენებული პატივცემული ორგანიზაცია ცდილობს მოაწყოს ტურნირი იმ ქვეყნების ნაკრებთა შორის, რომლებიც ერთმანეთში ომობენ.

**პაპუნა კედია**






# ბაროშმა და კარეუმ მაისურები გაცვალეს

**მილან ბაროშმა** და იონ კარეუმ გუნდები გაცვალეს. ჩეხი „ასტონ ვილადან“ „ლიონში“ გადავიდა, ხოლო ნორვეგიელი — პირიქით.

27 წლის ნორვეგიელმა ბირმინგემულ კლუბთან სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლიონში“ მან 40 მატჩში 10 გოლი გაიტანა და გულზე არ ეხატებოდა ჟერარ ულიეს როტაციები, რის გამოც ძირითად შემადგენლობაში დროგამოშვებით ხვდებოდა. იონ კარეუ ნორვეგიის, ესპანეთისა და საფრანგეთის ჩემპიონია და უკვე დიდად გამოცდილიც. მას ჩემპიონთა ლიგაში „ლიონის“, „ბეშიქთაშისა“ და „ვალენსიას“ მაისურით უთამაშია. „ლამურებთან“ ერთად იგი ლიგის ფინალშიც გავიდა.

„ბევრი ქვეყანა მოვიარე ევროპაში და ახლა პრემიერლიგაშიც მოვსინჯავ ძალას — განაცხადა ნორვეგიელმა — მარტინ ონილი დიდებული მწვრთნელი და პატივცემული კაცია, ამიტომ მასთან მუშაობა სასიამოვნო და საინტერესო იქნება. „ასტონ ვილას“ ფეხბურთელებიდან ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ ზოგიერთი მცველი კი ვიცი, რომელთა წინააღმდეგაც მითამაშია. „ვილას“ მდიდარი ისტორია აქვს და ჩემს ქვეყანაში ბევრი ქომაგი ჰყავს. ამ მხრივაც ბედნიერი ვარ, რომ აქ ვითამაშებ. გამიმართლა, რომ ევროპის სხვადასხვა დიდი კლუბები მოვიარე — „ლიონი“, „ვალენსია“, „რომა“ — და საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით ვიყავი. ინგლისი ახალი გამოწვევაა ჩემთვის და საბრძოლველად მზად ვარ“.

მილან ბაროში კი კვლავ ჟერარ ულიესთან იქნება, კაცთან, რომლის ხელქვეითაც „ლივერპულში“ თამაშობდა. „არ მინდოდა ინგლისიდან წასვლა, რადგან იქ ბოლომდე ვერ გამოვავლინე შესაძლებლობები, მაგრამ რაკი „ლიონი“ ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, უარი ვეღარ ვთქვი. ყოველთვის რთულია ქვეყნის გამოცვლა, თუმც ჟერარ ულიეს კარგად ვიცნობ და ეს საქმეს გამიადვილებს“ — განაცხადა ჩეხმა.

**ირაკლი ნინიძე**



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ამერიკული კითხვა: კლინსმანი სადღაა?



**ვინ უნდა იყოს** ამა თუ იმ გუნდის მწვრთნელი, მეტწილად ზეცაში არ წყდება, მაგრამ იურგენ კლინსმანი დარწმუნებულია, რომ ერთხელ ამას სწორედ იქ დაესვა ბეჭედი. ეს 2004 წელს მოხდა, როდესაც ყოფილი დიდი თავდამსხმელი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ბუნდესმწვრთნელის სავარძელში, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ორმა უმთავრესმა კანდიდატმა შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით: კლინსმანის თანამდებობაზე დანიშვნიდან ორწელიწადნახევრის შემდეგ, გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა და დღეს, გერმანელთა აწ უკვე გადამდგარი თავკაცი მომავლისკენ და ახალი თავგადასავლებისკენ იყურება.

„დიახ, რაღაც მომენტში სიამოვნებით გავაგრძელებ მწვრთნელობას — უთხრა კლინსმანმა „როიტერის" კორესპონდენტ ერიკ კრიშბაუმს — საკუთარ თავს სიახლისთვის ვამზადებ, ისეთი რამისთვის, რაც შეიძლება მოხდეს. როდის მოხდება ეს რაღაც? არ ვიცი. შეიძლება ორ თვეში, შეიძლება ორ წელიწადში. მოკლედ, თავს მომდევნო ნაბიჯისთვის ისე ვამზადებ, რომ არ ვიცი კერძოდ რა ნაბიჯზეა საუბარი".

ასე ამბობს მრავალ ენაზე მოსაუბრე კლინსმანი, რომელიც ბოლო ორ წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგიანი მწვრთნელი გახდა. მრავალ ენაზე საუბარი რომ ვახსენეთ..

„ესპანურს ვსწავლობ. გარდა ამისა სემინარებზე დავდივარ და ვცდილობ, სპორტის სხვა სახეობათა მწვრთნელებისგან რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მივიღო".

ზემოთ ვახსენეთ, რომ 42 წლის კლინსმანი გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელია. იგი მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, მაშინ, როდესაც უკიდურესად პოპულარული გახლდათ. თანამდებობიდან გადამდგარი, კალიფორნიაში ოჯახს დაუბრუნდა.

რატომ გადადგა კლინსმანი თანამდებობიდან? იმიტომ, რომ ბოლო ორმა წელიწადმა დაქანცა. მან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე დამარცხებული ნაკრები ჩაიბარა და ახალგაზრდულ, შემტევ, ნაპერწკლიან გუნდად აქცია. ასეთმა სტილმა გერმანელი ერის აღფრთოვანება და პატრიოტული აღტყინება გამოიწვია, თუმცა ყოველივე ამის შემდეგ, (ვითარება კი გერმანულ ტაბლოიდებთან რთული ურთიერთობითაც გახლდათ დამძიმებული), მწვრთნელს დასვენება დასჭირდა. დასვენება დასჭირდა კლინსმანს იმიტომაც, რომ მართლა ძალიან ძნელია გერმანიაში მუშაობდე, ცხოვრებით კი ამერიკაში ცხოვრობდე.

„ახლა ბატარეებს გადავტვირთავ — განაგრძობს თემას კლინსმანი, მშობლიური გერმანულის გარდა თავანკარა ინგლისურით, კარგი იტალიურით და ცოტა ფრანგულით შეიარაღებული — იმ დონეზე, რომელზეც მე მომიწია მუშაობამ, სამსახურები ნამდვილად არ ყრია და ამიტომ, თუ შევატყობ, რომ საქმე, რომელსაც შემომთავაზებენ ჩემი ოჯახისთვის კარგი, ხოლო ჩემთვის საინტერესო იქნება, დავთანხმდები და შესაძლოა, თავი ისეთ ქვეყანაშიც ამოვყო, რომელშიც ვერც კი წარმოვიდგენდი ოდესმე თუ აღმოვჩნდებოდი".

რომელ დონეზე მუშაობას გულისხმობს კლინსმანი? ის სანაკრებო დონეს გულისხმობს, რადგან თავად აქვს ნათქვამი, რომ საკლუბო მწვრთნელად თავი ვერ წარმოუდგენია. რაც შეეხება დასვენებას, გერმანელთა გადამდგარი თავკაცი ამბობს, რომ ეს მას ფრიად წაადგა, რადგან სწავლისთვის დრო გამოჩნდა.

„ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დროის და პერსპექტივის გამოძებნა აუცილებელი იყო. ვიცოდი, რომ დასვენებას რამდენიმე თვე დასჭირდებოდა, ახლა კი სწავლას შევუდექი და ესეც ძალიან მახარებს. უამრავ ახალ რაიმეს ვიძენ და ამასთან ესპანურსაც ვეუფლები. ჩემი ესპანური დღითიდღე უმჯობესდება. ვფიქრობ, მწვრთნელისთვის ფეხბურთელებთან თარჯიმნის გარეშე ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მნიშვნელოვანია მათი კულტურისა და მენტალიტეტის ცოდნა".

კლინსმანის ესპანურის კურსები ექვსთვიანია და ყოველდღიური ორსაათიანი გაკვეთილების გარდა კერძო მასწავლებელთან მეცადინეობასა და მხოლოდ ესპანურენოვანი ტელეარხების ცქერასაც მოიცავს.

„იტალიური ჩემს გონებაში სამუდამოდ არის ჩანერგილი, მისი იქედან ამოცლა უკვე შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, სადაც ხარ, იქაურ ენაზე უნდა ილაპარაკო, თორემ რღაც აუცილებლად გამოგრჩება".

ილაპარაკო კლინსმანზე და არ ახსენო, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ აშშ-ს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიაჩნდათ, არ შეიძლება. ამერიკელებმა გერმანელს თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა.

„სამწუხაროა მოლაპარაკებები რომ ჩაიშალა. მართლაც ბევრ რამეზე ვიყავით შეთანხმებულნი, მაგრამ რამდენიმე სპორტული შინაარსის საკითხზე ვერ გამოვნახეთ საერთო ენა. მიუხედავად ამისა, ჩვენ საკმაოდ საინტერესო საუბრები გვქონდა და გადაწყვიტეთ, რომ ერთმანეთს მომავალშიც დავუკავშირდებით".

ასე და ამგვარად, კლინსმანისთვის ამერიკელთა მწვრთნელობა სულაც არ გამოირიცხა, უბრალოდ გადაიდო, თუ რაღაც ამგვარი. სხვათაშორის, კლინსმანმა ბევრი იცინა, როდესაც ერთი საინტერესო ისტორია მოისმინა. თურმე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამერიკის ნაკრების პირველსავე შეხვედრაში ტრიბუნაზე გამოჩნდა ფანი, რომელმაც გაშალა პლაკატი: „კლინსმანი სადღაა?" სხვათა შორის, თავად ამერიკული სოკერის პრეზიდენტმა სანილ გულატიმ განაცხადა, რომ ქომაგებმა იგი e-mail-ებით დაბომბეს და ყოველი წერილის შინაარსი ერთი და იგივე იყო: რატომ არ ავიყვანეთ მწვრთნელად იურგენ კლინსმანი?

თავად კლინსმანი კი ამბობს, რომ მან ერთი რამ ზუსტად გაიგო — მთავარია ზუსტ დროს და სწორი სამსახური აირჩიო.

დიახ, კლინსმანმა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა მხოლოდ მას მერე მიიღო, რაც ოტო რეჰაგელმა და ოტმარ ჰიცფელდმა თქვეს უარი. საგონებელში ჩავარდნილ საფეხბურთო კავშირის შეფებს მაშინ ყოფილმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ურჩია სრულიად გამოუცდელი და შეუმოწმებელი ადამიანის კანდიდატურა.

„ბევრი რამ ასე ხდება — ამბობს კლინსმანი — ბერტი აქ იყო, შვებულებას ამერიკაში, წყნარი ოკეანის პირას ატარებდა, ხოლო გერმანიის ნაკრები მაინც და მაინც მაშინ იყო უმწვრთნელოდ დარჩენილი. ჰოდა, მან გადარეკა საფეხბურთო კავშირში, საიდანაც შემდეგ მეც დამირეკეს. თავიდან ხერი დავალე, მაგრამ როგორც ხედავთ, ფეხბურთი მართლაც საოცარი სამყაროა. მას მოულოდნელობები უყვარს"

**პაპუნა ქედია**



# დედის საჭმელი

**ობა მარტინსი** „ნიუკასლის" მთავარმეგოლეა: ბოლო 13 თამაშში 10-ჯერ გაუტანა მეტოქეს. არადა, თავიდან ვერა ბრწყინავდა.

ჯორდების მენეჯერი გლენ რიოდერი ამბობს, რომ ობას გამოსწორების ერთ-ერთი მიზეზი მისი შინაური საჭმლით კვებაა და ნიგერიელი იმის შემდეგ გამოსწორდა, რაც სამშობლოდან დედა ჩამოუვიდა.

„ეს სწორედ ასეა — თქვა რიოდერმა — ბიჭი დედამ გამოაფხიზლა. არ ვიცი ქალბატონი რამდენხანს დარჩება, მაგრამ, ჩვენთვის ეს კარგია. ობა ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, კარიერაში პირველად დგას რეგულარულ ძირითადში და მას გამხნევება სჭირდება".

რიოდერმა ისიც თქვა; რომ „ტოტენჰემს" არ მიჰყიდის ზაფხულში „ჩელსიდან" გადმოყვანილ დემიენ დაფს.

რიოდერს სხვა ამბავიც აშფოთებს. ამ კვირაში მისი უეფას მენეჯერობის ლიცენზიის საკითხი უნდა განიხილონ უორვიკის უნივერსიტეტში და მომხსენებლად „ბოლტონის" ბოსი სემ ალარდაისია. ალარდაისი კი რიოდერს კონკურენტობდა „ნიუკასლის" მენეჯერის ადგილზე. ასეთ მოხსენებებში კი ინტერესთა კონფლიქტი არ შეიძლება.

რიოდერი კიდევ უფრო გააოცა იმან, რომ ალარდაისს თანამომხსენებლად „ევერტონელი" დევიდ მოიესი ჰყავს, რომელსაც რიოდერი შუბლით შეასკდა ემრეს ტრანსფერის გამო.

**ირაკლი გამყრელიძე**



„**ტოტენჰემმა**" „ბენფიკას" მცველი რიკარდო როჩა იყიდა ოთხ მილიონ გირვანქად. 28 წლის მცველმა ლისაბონურ კლუბში ოთხწელიწადნახევარი გაატარა და 2005 წელს პორტუგალიის ჩემპიონი გახდა. ნაკრებში მას ექვსჯერ უთამაშია, ლუიშ ფელიპე სკოლარი როჩას მუდმივად იძახებს ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებში.

# მამალი როჩა

რიკარდო როჩა „ტოტენჰემიდან" „ვესტ ჰემში" გადასულ კალუმ დევენპორტს შეცვლის. „მამლებს" იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას მეტი ფეხბურთელი არ შეუძენიათ, თუმც ახალგაზრდებთან, აარონ ლენონთან და ტომ ჰადლსტოუნთან კონტრაქტები გაახანგრძლივეს.

„მე ვარ ხისტი, მაგრამ არა უხეში — განაცხადა როჩამ — ვცდილობ, რომ მეტოქეს ბურთისთვის ბრძოლაში ყოველთვის ვაჯობო და გოლი არ გავატანინო. ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი კარიერაში, რადგან დიდი ხანია, პრემიერლიგაში გადასვლაზე ვოცნებობდი. ისეთ სახელოვან კლუბში თამაში, როგორიცაა „ტოტენჰემი", ახდენილი ოცნებაა. ესაა გუნდი, რომელიც ყოველთვის ლამაზი ფეხბურთით მოგებას ცდილობს. ოთხი ფანტასტიკური წელიწადი გავატარე „ბენფიკაში" და პროფესიონალი გავხდი, „ტოტენჰემში" კი ბევრი ჯილდოს მოგება მსურს".

**ირაკლი ნინიძე**

# კაცი, რომელმაც ისრიალა

**ვეტერანი ჩეხი ნახევარმცველის პაველ ნედვედისთვის 2006 წელი არცთუ წარმატებული იყო. ყველაფერი დეკემბრის ბოლოს „ჯენოასთან“ მატჩში, მსაჯ სტეფანო ფარინასთან წაკინკლავებით და ჩეხის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასრულდა. განაწყენებული 34 წლის ფეხბურთელი ამ ინციდენტის მერე კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ მერე ცხელ გულზე ნათქვამი სიტყვები კარგად გაანალიზა და ახლა ისევ ოპტიმისტურ განწყობაზეა. იტალიური „გაძეტა დელო სპორტი“ ტურინის „იუვენტუსის“ ერთ-ერთ ლიდერს ბევრ საინტერესო საკითხზე ესაუბრა**



**— კარიერის დასრულებაზე ისევ ფიქრობთ?.**

— 34 წლის ვარ და მინდა, კარიერა „იუვენტუსში“ დავასრულო. კლუბს ისევ აქვს ჩემი იმედი, მე კი „იუვენტუსთან“ ვალში ვარ. ასე რომ, სავსებით რეალურია, მოქმედი კონტრაქტის ბოლომდე, ანუ 2008 წლამდე ვითამაშო. რა იქნება მერე, არ ვიცი.

**— ახალ წელს როგორ შეხვდით?**

— ის მოკლე არდადეგები, რომელიც ახალ წლამდე გვქონდა, პილეში, ჩემს ახალ სახლში გავატარე ოჯახთან ერთად მშვიდად და წყნარად. ვისრიალე თხილამურებზე და ბევრი ვირბინე. ბავშვებმაც მთიდან დაშვების რამდენიმე ვარიანტი ისწავლეს. რა თქმა უნდა, თხილამურებზე დგომა არც ვიცოდი, მაგრამ ეს შორეულ წარსულში იყო. ბოლოს 17 წლისამ ვისრიალე.

სამწუხაროდ, ეს სახიფათო რამაა პროფესიონალი ფეხბურთელისთვის. 31 დეკემბერს კი, როცა შუაღამე მოახლოვდა, გავიხსენე ყველაფერი, რაც 2006 წელს გადამხდა. და რაც ცუდი იყო, გონებიდან ამოვიშალე. გამახსენდა, როგორ წაგვართვეს მოგებული სკუდეტო, როგორ ჩავაგდე მსოფლიოს ჩემპიონატი, ჩემი პირველი და ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი...

**— „ჯენოასთან“ მატჩში მომხდარი ინციდენტიც დაივიწყეთ?**

— ვცდილობ, არ გავიხსენო. მაშინ იმდენი ტყუილი დაიწერა და ითქვა, რომ ძალიან განაწყენებული ვიყავი. ისე გავბრაზდი, ცხელ გულზე ფეხბურთიდან წასვლაც კი მინდოდა. მერწმუნეთ, ბევრი უფრო უარესი რამ მინახავს, რასაც ასეთი მკაცრი დასჯა არ მოჰყოლია. ისევ ვთვლი, რომ არასწორად მომექცნენ.

**— გინდოდათ, გეთქვათ კმარა, მაგრამ...**

— გონზე რომ მოვედი და დავმშვიდდი, მივხვდი, კარიერის ასეთ მინორულ ნოტაზე დასრულება სწორი არ იქნებოდა. არც ჩემ თავთან და არც „იუვენტუსთან“ მართალი არ ვიქნებოდი. თუმცა წასვლის ნება მქონდა, კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე მაქვს, მაგრამ ერთ-ერი პუნქტის თანახმად, თუ შევატყობ, რომ სათანადოდ ვეღარ ვირჯები, შემიძლია, წავიდე.

**— ანუ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფეხბურთს 2008 წელს გამოეთხოვებით?**

— დიახ. გასულ ზაფხულს ლონდონში გადასვლაც შემეძლო, „ტოტენჰემს“ ძალიან სურდა ჩემი დამატება, თუმცა ჩავთვალე, რომ ასეთ რადიკალურ ცვლილებებს დიდი აზრი არ ჰქონდა.

**— თქვენი უახლოესი გეგმები?**

— ორი მიზანი მაქვს. პირველ რიგში კლუბს სერია A-ში დაბრუნებაში უნდა დავეხმარო, მერე კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში. თუმცა ჯერ გასარკვევი ის არის, როგორი შემადგენლობით მოგვიწევს ამ ამოცანებთან გამკლავება.

**— რა სჭირდება ამისთვის „იუვენტუსს“?**

— ყველა ვარსკვლავი უნდა დარჩეს, ბუფონიდან დაწყებული, ტრეზეგეთი დამთავრებული. დანარჩენი კი ჩვენს ახალ ხელმძღვანელობაზე. ვფიქრობ, ყველა პოზიციაზე ძლიერი ფეხბურთელები უნდა შევიძინოთ. მერწმუნეთ, დღევანდელი გუნდით სკუდეტოზე ფიქრიც არ ღირს. იპოვო და იყიდო ახალი ვარსკვლავები, ადვილი არ არის, მაგრამ თუ ძალიან მოინდომებ...

**— კი მაგრამ, „იუვეში“ ხომ ისევ საკმარისად არიან მაღალი დონის ფეხბურთელები?**

— მაგალითისთვის, დაცვაში ფაბიო კანავარო და ლილიან ტურამი გვყავდა, მაგრამ ისინი წავიდნენ და როგორ შევცვალოთ?

**— ორივე მათგანი ხომ უკვე ვეტერანია...**

— მათ თავისუფლად შეეძლოთ, ჩვენს რიგებში კიდევ 5 წელი ეთამაშათ და ახალგაზრდებს გაზრდაში დახმარებოდნენ.

**— ჯანლუიჯი ბუფონმა თქვა, რომ არ უნდა სერია A-ს მომავალ სეზონში მეთორმეტე ადგილი დაიკავოს.**

— აბსოლუტურად ვეთანხმები, უნდა გავძლიერდეთ. მინდა, ასევე ვთქვა, რომ მომავალ ზაფხულს თუ რომელიმე ვარსკვლავი წასვლას გადაწყვეტს, მხოლოდ მადლობას თუ ვეტყვით. მათ ისედაც უკვე იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე უნდა გაეკეთებინათ.

**— არის გუნდში ვინმე შეუცვლელი? ვის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ „იუვე“?**

— ბუფონის გარეშე. იგი ერთადერთი ასეთი ფეხბურთელია გუნდში. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ თუ შეცდება, მეკარე აუცილებლად ყველაფერს გამოასწორებს. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მის შესანარჩუნებლად არაფერს დავიშურებდი. ჯიჯი ყველაზე ძლიერია ჩვენს შორის, იგი შეუცვლელია.

**— შეიცვალა თუ არა თქვენთვის ფეხბურთი კალჩოპოლის სკანდალის მერე?**

— არა. ვფიქრობ, „იუვენტუსმა“ ყველას მაგივრად გადაიხადა. ჩვენ საკუთარი დანაშაულიც გამოვისყიდეთ და შეგვიძლია, სვლა თავაწეულებმა გავაგრძელოთ.

**— და როგორ მოგწონთ სერია B?**

— ფეხბურთი ყველგან ფეხბურთია. ახლა უფრო მეტი სირბილია საჭირო, ეს არის განსხვავება. თუმცა პირადად მე ჩემპიონთა ლიგა ძალიან მაკლია.

**— როგორ აპირებთ სერია B-ს მოგებას?**

— ის ფორა, რომელიც ჩვენმა მეტოქეებმა სეზონის დაწყებამდე მიიღეს, უკვე ამოვქაჩეთ და ახლა საქმეს ხელახლა, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. თუ გუნდი მატჩის მსვლელობისას იგებს, მისი მეტოქე უფრო იღლება. როცა



ვიგებთ, ხშირად მოწინააღმდეგეები ფინალურ სასტვენამდე ადრეც ნებდებიან ხოლმე. თუმცა, სამწუხაროდ, ახლა „იუვენტუსი“ ისეთი ძლიერი არ არის, რომ ცივსისხლიანობა გამოიჩინოს.

**— ვინ გახდა თქვენი ცხოვრების მთავარი მწვრთნელი?**

— მარჩელო ლიპი. თუმცა ამ მხრივ ძალიან გამიმართლა, რადგან მის გარდა ისეთ მწვრთნელებთან მიმუშავია, როგორებიც არიან — სვენ გორან ერიკსონი, დინო ძოფი, ზდენეკ ზემანი, ფაბიო კაპელო... ამ სიას მხოლოდ კარლო ანჩელოტი აკლია, რაზეც ძალიან ვწუხვარ, მას ყველა აქებს.

**— და რობერტო მანჩინი?**

— როცა ჩვენ „ლაციოს“ რიგებში ერთად ვთამაშობდით, უკვე მაშინ ჩანდა, რომ მას შეეძლო, კარგი მწვრთნელი გამხდარიყო. ახლა მანჩინის ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავს. თუ „ინტერი“ ამ სეზონში სკუდეტოს მოიპოვებს, დიდი შანსი ექნება, გახდეს იმ „იუვენტუსის“ მსგავსი გუნდი, რომლის დამარცხებაზეც ყველა ოცნებობდა. მილანელებს ისედაც ძლიერი კლუბი ჰყავდათ, ჩვენ კი მათ ვიეირა და „იბრა“ მივეცით...

**— ესაუბრებით ხოლმე ზლატანს?**

— ზოგჯერ. არასოდეს არ მინახავს, მას ბევრი ერბინოს. იბრაჰიმოვიჩს ძალიან უნდოდა „ინტერში“ გადასვლა და როცა ეს შეძლო, გაბედნიერდა. მალევე მან მობილურზე მან სურათი გამომიგზავნა, რომელზედაც „ნეროაძურის“ მაისურა აცვია და სკუდეტოს ემბლემას ჰკოცნის, ჩემი სკუდეტოს ემბლემას...

**— უკვე გადაწყვიტეთ, რას იზამთ ფეხბურთიდან წასვლის მერე?**

— არა. შემიძლია, ბავშვები გავწვრთნა ან კლუბის ადმინისტრაციაში რომელიმე თანამდებობა დავიკავო. არც ისაა გამორიცხული, ფეხბურთიდან საერთოდ წავიდე. მოკლედ, ვნახოთ.

**— იქნებ თქვენი ჰობი განავითაროთ? ბოლო დროს ხომ ღვინოებმა გაგიტაცათ...**

— დიახ, ეს მართალია. პემონტური წითელი და „ვალე დაოსტა“.

**— კონკრეტულად რომელი ღვინო მოგწონთ?**

— „ბარბერა“.



## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ფულემი“ კვირის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს ალექსეი სმერტინთან. რუსმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და თანაგუნდელებიც გაიცნო. სმერტინი მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა, მაგრამ ათი დღის წინ უთხრეს, რომ აღარ სჭირდებათ. „მოსკოვიდან წასვლა არ მინდოდა, თუმც კლუბმა ჩემზე უარი თქვა, აგენტმა კი ახალი გუნდი მომიძებნა“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ ფრანგული „რენიდან“ კამერუნელი მცველი ჟან-ჟოელ პიერ-დუმბე ითხოვა ექვსი თვით და შემდგომში კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით. „პიერ-დუმბე ამ თვის დასაწყისში ჩავიდა გლაზგოში და გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. გორდონ სტრაჩანს ძალიან მოეწონა ფეხბურთელი და მისი დატოვება გადაწყვიტა“ — განაცხადა კამერუნელის აგენტმა უილი მაკკეიმ.

**რუმინული** „სტიაუას“ ფორვარდი ნიკოლაე დიკა ვარჯიშზე დაშავდა — მუხლის მყესები დაუზიანდა და უეფას თასზე „სევილიასთან“ მატჩს გამოტოვებს. დიკას, ალბათ ოპერაცია დასჭირდება და შესაძლოა, სეზონის ბოლომდეც კი გამოაკლდეს გუნდს. შევახსენებთ, რომ ფორვარდმა რუმინეთის ჩემპიონატში 17 მატჩში ათი გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში კი ექვს შეხვედრაში ოთხი.

**ინგლისურმა** „ასტონ ვილამ“ „უოტფორდიდან“ მეგოლე ეშლი იანგი იყიდა. ბირმინგემული კლუბისთვის ეს უკვე მესამე შენაძენია იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში. მათ „ლიონიდან“ იონ კარეუ, „სიტიდან“ კი ფილ ბერდსლი გადაიყვანეს. ბრიტანული მედიის ცნობით „ვილამ“ იანგის სანაცვლოდ კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 9 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა.

**გერმანული** „ჰანოვერის“ ვეტერანმა მცველმა მიხაელ ტარნატმა კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგძლივა. მიუნხენის „ბაიერნის“ და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ფეხბრთელი თითქოს კარიერის დასრულებას აპირებდა ზაფხულში, მაგრამ გადაიფიქრა. „ვარჯიშებზე შევამჩნიე თავს, რომ თამაშს კვლავ შევძლებ, ამიტომ გადავწყვიტე კიდევ ერთი წლით დარჩენა“ — თქვა 37 წლის ტარნატმა.

**ინგლისური** „ფულემის“ ჩეხი მეკარე იაროსლავ დრობნი თავისუფალი აგენტის სტატუსით გერმანულ „ბოხუმში“ გადავიდა. 27 წლის ჩეხი ბუნდესლიგაში სეზონის ბოლომდე დარჩება. დრობნი „ფულემმა“ 2005-ის ივნისში იყიდა, მაგრამ ერთი მატჩიც არ უთამაშია ძირითად შემადგენლობაში.

# სოფელი პარმა

**ბიზნესმენი** ტომაზო გირარდი ადასტურებს, რომ „პარმას“ ყიდვასთან ძალიან ახლოს არის.

„ჩვენს შეთანხმებას ბევრი აღარაფერი აკლია და იმედი მაქვს, რომ საქმეები სასურველი მიმართულებით განვითარდება“ — თქვა ფირმა „ლეონესას“ 31 წლის პატრონმა. მისი წარმოება სასოფლო სამეურნეო და ინდუსტრიული დანიშნულების ტექნიკური ნაწილების გამოშვებით არის დაკავებული. რაც შეეხება გირარდისა და ფეხბურთს, აქაც არსებობს თანამშრომლობის წინაპირობა, რამეთუ ბიზნესმენისთვის საფეხბურთო სამყარო უცხო არ არის, ბოლო 8 წლის განმავლობაში იგი სერია C2-ში მოთამაშე კლუბის „კარპენედოლოს“ პრეზიდენტი გახლდათ.

ამბობენ, რომ გირარდიმ „სტადიო ტარდინის“ ტანჯული ბინადარი 4,5 მილიონ ევროდ უნდა იყიდოს, თუმცა ამას დაგროვილი ვალების გასასტუმრებლად დაახლოებით კიდევ 20 მილიონი უნდა დაამატოს. ამას გარდა, ბუნებრივია, სატრანსფერო თანხებიც იქნება გადასახდელი. და მაინც:

„ჯერ ოფიციალური არაფერია“ — თავი დაიზღვია ბრეშელმა ბიზნესმენმა, რომელმაც, ალბათ იცის, რომ ქალაქ პარმაში გავრცელებული ხმების მიხედვით, ყველაფერი მოგვარებულია.

ახლა, ორი სიტყვით შევახსენებთ „პარმას“ კრიზისის ისტორიას. ეს კრიზისი 2004 წელს დაიწყო, როდესაც კლუბის მთავარი მეწილე „პარმალატი“ გაკოტრდა და იტალიურ ბიზნესში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური სკანდალი გამოიწვია. მაშინ კლუბმა ფეხბურთელები გაყიდა და თვითდაფინანსების ხერხი ირჩია. იმედი ჰქონდა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა



ტომაზო გირარდი „პარმას“ ყიდვას აპირებს

გაიყვანდა ფონს. ამის შემდეგ, კლუბის ყიდვა „რეალის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა გადაწყვიტა, მაგრამ ერთთვიანი მოლაპარაკებისას თავი იჩინა ისეთმა დეტალებმა, რომელთა გამოც მხარეებმა ხელი ხელს ვერ დაჰკრეს. ბოლო ხანს ასახელებდნენ შვედურ-იტალიური ფესვების მქონე ბიზნესმენ გაეტანო ვალენსიასაც, თუმცა საბოლოოდ გირარდის ფიგურა უფრო დამაჯერებლად გამოიკვეთა.

**პაპუნა ძედია**

# პეკერმანმა პატარა გაგოს დაუძახა



ფერნანდო გაგო

**არგენტინის** ნაკრებისა და „ინტერის“ მცველი ხავიერ ძანეტი, რომელიც მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე პეკერმანმა არ წაიყვანა, ალფიო ბასილემ საფრანგეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა.

ახალმა მწვრთნელმა ძანეტის გარდა სამ ახალწვეულსაც უხმო, მათ შორის მადრიდის „რეალში“ გადაბარგებულ 20 წლის ფერნანდო გაგოს. არგენტინა საფრანგეთს 7 თებერვალს პარიზში შეხვდება და ეს იქნება ალფიო ბასილეს მესამე მატჩი. მანამდე ორივე ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხდა, ჯერ ბრაზილიათან 0:3, მერე კი ესპანეთთან 1:2. ალფიო ბასილე 1991-1994 წლებშიც წვრთნიდა ეროვნულ ნაკრებს, სწორედ მაშინ, როცა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატიდან მარადონა დოპინგის გამო მოკვეთეს.

33 წლის ხავიერ ძანეტის ეროვნული ნაკრების მაისურა 102-ჯერ მოურგია. ბოლოს მან 2005 წლის ნოემბერში ინგლისთან 2:3 წაგებულ მატჩში ითამაშა, მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე კი ხოსე პეკერმანმა არ იახლა, ახალგაზრდა ფეხბურთელები მჭირდებაო.

ფერნანდო გაგოსავით პირველად გამოიძახეს „მალიორკას“ ნახევარმცველი ხონას გუტიერესი და „პორტუს“ ფორვარდი ლისანდრო ლოპესი. გამოძახებულთა შორის არიან 31 წლის მეკარე როდოლფო არუაბარენა, ვისაც ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია და მადრიდის „ატლეტიკოს“ ყმაწვილკაცი სერხიო აგერო. აღსანიშნავია, რომ ალფიო ბასილეს გუნდში ყველა ფეხბურთელი ევროპული კლუბებიდანაა.

რაც შეეხება ლიონელ მესის, კარლოს ტევესს, ხუან პაბლო სორინს და პაბლო საბალეტას, ტრავმის გამო ვერ მოხვდნენ ნაკრებში.

**ირაკლი ნინიძე**

# შევა გაცოცხლდა

**„ჩელსის“** კაპიტანი ჯონ ტერი ახლოა ახალ კონტრაქტთან, რომელიც მას ინგლისში ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელად აქცევს კვირაში 150 ათასი გირვანქით.

ჰოდა, ტერის მაურინიუსთვის უკითხავს, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას ვაპირებ და საგაისოდ აქ თუ იქნებიო.

ეს ამბავი თავად მაურინიუმ ამცნო მედიას.

„მესმის, როცა ჯონი მეუბნება, რომ სხვა მენეჯერის ხელში ასე თამაში გაუჭირდება — თქვა ჟოზემ — სამი წელია აქა ვარ და ლამპარდი, ტერი და დროგბა მაურინიუს გუნდში თამაშობენ. ეს გუნდი მე შევქმენი“.

სამშაბათს „ჩელსიმ“ 4:0 მოუგო პატარა „უიკომბს“. სათასო გადათამაშებაში ორ-ორი გოლი შევჩენკომ და ლამპარდმა გაიტანეს. „ჩელსი“ ლიგის თასის ფინალში გავიდა და 25 თებერვალს კარდიფში „არსენალისა“ და „ტოტენჰემს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. მაურინიუმ ძალიან აქო შევჩენკო, რომელსაც ათი თამაში იყო არ გაეტანა და თქვა, ახლა ასოციაციის თასის თამაშშიც დავაყენებ, „ნოტინგემის“ წინაალმდეგო.

თავად შევამ კი თქვა: „ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ“.

**ირაკლი გამყრელიძე**



## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**უოტფორდი 2:1 ბლექბერნი**

1:0 ემერტონი (12ს.კ.), 1:1 მაკკარტი (45), 2:1 დე მერიტი (70)

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, მაკეი, შიტუ (დე მერიტი 33), სტიუარტი, სმიტი, ბანგურა, ფრენსისი, ბუაზა, ჰენდერსონი, ჰოსკინსი (პაუელი 85)

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ანშო, ხიზანიშვილი, მაკიველი, ბენტლი, სევიჯი (გალაჰერი 57), მოკოენა, პედერსენი, ნონდა, მაკკარტი (დერბიშირი 69)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: სტიუარტი, ბუაზა

მსაჯი: გალაჰერი

13 766 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 24 | 18 | 3 | 3 | 53:18 | 57 |
| ჩელსი | 24 | 15 | 6 | 3 | 41:19 | 51 |
| ლივერპული | 24 | 14 | 4 | 6 | 37:16 | 46 |
| არსენალი | 24 | 13 | 6 | 5 | 45:20 | 45 |
| ბოლტონი | 24 | 12 | 4 | 8 | 28:26 | 40 |
| პორტსმუთი | 24 | 10 | 7 | 7 | 34:24 | 37 |
| ევერტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 31:23 | 35 |
| რედინგი | 24 | 10 | 4 | 10 | 34:32 | 34 |
| ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29:32 | 33 |
| ბლექბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 28:33 | 31 |
| მიდლსბრო | 24 | 8 | 6 | 10 | 29:29 | 30 |
| ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:32 | 30 |
| სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 19:28 | 30 |
| ასტონ ვილა | 24 | 6 | 11 | 7 | 26:28 | 29 |
| ფულემი | 24 | 6 | 11 | 7 | 26:36 | 29 |
| შეფილდი | 24 | 6 | 6 | 12 | 19:33 | 24 |
| უიგანი | 23 | 6 | 4 | 13 | 23:38 | 22 |
| ვესტ ჰემი | 24 | 5 | 5 | 14 | 17:38 | 20 |
| ჩარლტონი | 24 | 5 | 4 | 15 | 19:43 | 19 |
| უოტფორდი | 23 | 2 | 9 | 12 | 14:32 | 15 |

### ჩემპიონატი
### გადადებული მატჩი

**ბარნლი 0:1 სტოკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დერბი | 29 | 17 | 5 | 7 | 38:28 | 56 |
| ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46:26 | 53 |
| პრესტონი | 29 | 15 | 8 | 6 | 44:30 | 53 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 14 | 7 | 8 | 54:35 | 49 |
| საუთჰემპტონი | 29 | 13 | 10 | 6 | 46:32 | 49 |
| სტოკი | 29 | 13 | 8 | 8 | 39:25 | 47 |
| კარდიფი | 29 | 12 | 10 | 7 | 38:30 | 46 |
| სანდერლენდი | 29 | 14 | 4 | 11 | 41:34 | 46 |
| კოლჩესტერი | 29 | 13 | 5 | 11 | 48:34 | 44 |
| ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 30:32 | 43 |
| პლიმუთი | 29 | 10 | 12 | 7 | 39:37 | 42 |
| უენსდი | 29 | 11 | 7 | 11 | 40:42 | 40 |
| ბარნლი | 28 | 10 | 8 | 10 | 32:29 | 38 |
| კრ. პალასი | 29 | 10 | 8 | 11 | 36:35 | 38 |
| იფსვიჩი | 29 | 11 | 5 | 13 | 40:40 | 38 |
| ქოვენთრი | 29 | 10 | 4 | 15 | 29:38 | 34 |
| ნორვიჩი | 28 | 9 | 7 | 12 | 35:45 | 34 |
| ლესტერი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:34 | 33 |
| ჰალი | 29 | 8 | 7 | 14 | 30:40 | 31 |
| ლუთონი | 29 | 8 | 7 | 14 | 37:50 | 31 |
| ქუინზ პარკი | 29 | 8 | 6 | 15 | 35:45 | 30 |
| ბარნსლი | 29 | 8 | 5 | 16 | 31:48 | 29 |
| ლიდსი | 28 | 7 | 3 | 18 | 29:52 | 24 |
| საუთენდი | 29 | 5 | 9 | 15 | 23:46 | 24 |

### ლიგის თასი
### ნახევარფინალი
### საპასუხო მატჩი

**ჩელსი 4:0 უიკომბი (1:1)**

1:0, 2:0 შევჩენკო (22, 43), 3:0, 4:0 ლამპარდი (69, 90)

**ჩელსი:** ჩეხი, ლ. დიარა, რ. კარვალიუ, ესიენი, ეშლი კოული (მორაიში 84), მაკელელე, მიკელი, ლამპარდი, ბალაკი (რაიტ-ფილიპსი 84), შევჩენკო (ს. კალუ 84), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**უიკომბი:** ბატისტა, მარტინი, ენტვი (სტოკლი 60), უილიამსონი, გოლბურნი, ბეტსი, დოჰერტი, ოუქსი (ანია 83), ბლუმფილდი (ტორესი 65), მუნი, ისტერი

მწვრთნელი: პოლ ლამბერტი

გაფრთხილება: ესიენი, კოული, ენტვი

მსაჯი: დინი

41 591 მაყურებელი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 619 | კარდიფი-ლესტერი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 4 | ჯილინგემი-ტრანმერი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 5 | სკანთორპი-მილუოლი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 6 | დონკასტერი-როტერჰემი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 19:00 | 7 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 19:00 | 8 | ბრაიტონი-პორტ ვეილი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 9 | ქრიუ-ლეიტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 10 | ბრედფორდი-იოვილი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 11 | ბრენტფორდი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 12 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 14 | ტორკი-გრიმსბი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 15 | როჩდეილი-დონსი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 19:00 | 16 | სტოკპორტი-უიკომბი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 17 | სუინდონი-მაკლსფილდი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 18 | ჩესტერი-მენსფილდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 19 | ჰარტლპული-ბერი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 20 | ლინკოლნი-პიტერბრო | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 21 | უოლსოლი-ბოსტონი | 1.40 | 3.70 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.52 |
| 19:00 | 23 | დარლინგტონი-რექსემი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 24 | ჰერეფორდი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 37 | კემბრიჯი-უოკინგი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 38 | გრეივსენდი-სტივენეიჯი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 19:00 | 39 | იორკი-გრეისი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 40 | ალდერშოტი-ბარტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 41 | ალტრინჰემი-კიდერმინსტერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 42 | საუთპორტი-ფორესტ გრინი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 43 | სტ.ალბანსი-ჰალიფაქსი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 44 | სტ.რეინჯერსი-მორიკომბი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 45 | ტემუორთი-ქროული | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 46 | დაგ ენდ რედი-ექსეტერი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | 29 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 48 | ოქსფორდი-რაშდენი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 49 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 50 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 51 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 52 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 19:00 | 53 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 54 | ინვერნესი-სელტიკი | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 56 | ერდრი-კლაიდი | 2.35 | 3.40 | 2.60 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 19:00 | 57 | ქუინი-პარტიკი | 2.65 | 3.40 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |
| 19:00 | 58 | ლივინგსტონი-ჰამილტონი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 19:00 | 59 | როსი-დანდი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| 19:00 | 60 | სტ.ჯონსტონი-გრეტნა | 2.95 | 3.40 | 2.10 | 1.57 | 1.22 | 1.29 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 61 | ბრეჩინი-ალოა | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 19:00 | 62 | სტირლინგი-ფორფარი | 1.50 | 4.20 | 5.00 | 1.10 | 1.15 | 2.28 |
| 19:00 | 63 | ეარი-პიტერჰედი | 2.20 | 3.40 | 2.75 | 1.33 | 1:22 | 1.52 |
| 19:00 | 64 | კოუდენბითი-მორტონი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 19:00 | 65 | სტრანრარი-რეითი | 2.95 | 3.40 | 2.10 | 1.57 | 1.22 | 1.29 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 66 | სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 67 | არბროთი-ალბიონი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 68 | ბერიკი-ისტ სტირლინგი | 1.25 | 5.20 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.29 |
| 19:00 | 69 | ელგინი-დამბარტონი | 4.40 | 3.80 | 1.60 | 2.03 | 1.17 | 1.12 |
| 19:00 | 70 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 3.80 | 3.60 | 1.75 | 1.84 | 1.19 | 1.17 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 71 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 18:30 | 73 | ბოხუმი-მაინცი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:30 | 74 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:30 | 75 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2.50 | 3.00 | 2.90 | 1.36 | 1.34 | 1.47 |
| 18:30 | 76 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:30 | 77 | აინტრახტი-შალკე | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 18:30 | 79 | არმინია-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 80 | ალემანია-ლევერკუზენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 20:00 | 81 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 84 | აუგსბურგი-პადერბორნი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 85 | ბრაუნშვაიგი-კარლ ცაისი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 21:00 | 86 | ბურგჰაუზენი-კიოლნი | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 17:00 | 87 | დუისბურგი-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 17:00 | 88 | ფიურტი-კობლენცი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 17:00 | 89 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 17:00 | 90 | აუე-ჰანზა | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 17:00 | 91 | ფრაიბურგი-ესენი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| | | 29 იანვარი | | | | | | |
| 23:15 | 92 | ლაუტერნი-კარლსრუე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 94 | ტორინო-უდინეზე | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| 23:30 | 95 | პალერმო-ლაციო | 1.90 | 3.10 | 4.10 | 1.17 | 1.29 | 1.76 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 96 | კიევო-ემპოლი | 2.30 | 2.90 | 3.30 | 1.28 | 1.35 | 1.54 |
| 18:00 | 97 | მესინა-ასკოლი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 98 | ატალანტა-კატანია | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 18:00 | 99 | კალიარი-რეჯინა | 2.10 | 2.90 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| 18:00 | 100 | რომა-სიენა | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 18:00 | 102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 18:00 | 103 | მილანი-პარმა | 1.22 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.67 |
| 23:30 | 105 | სამპდორია-ინტერი | 5.00 | 3.30 | 1.70 | 1.98 | 1.26 | 1.12 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 108 | პესკარა-ლეჩე | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 109 | ტრიესტინა-პიაჩენცა | 2.35 | 2.70 | 3.20 | 1.25 | 1.35 | 1.46 |
| 19:00 | 110 | არეცო-ტრევიზო | 2.20 | 2.70 | 3.70 | 1.21 | 1.37 | 1.56 |
| 19:00 | 111 | ბოლონია-ალბინოლეფე | 1.70 | 2.80 | 5.80 | 1.05 | 1.31 | 1.88 |
| 19:00 | 112 | ჩეზენა-ბრეშა | 2.35 | 2.70 | 3.30 | 1.25 | 1.37 | 1.48 |
| 19:00 | 113 | ფროზინონე-მოდენა | 1.90 | 2.70 | 4.60 | 1.11 | 1.34 | 1.70 |
| 19:00 | 114 | მანტოვა-რიმინი | 2.15 | 2.70 | 3.70 | 1.19 | 1.35 | 1.56 |
| 19:00 | 115 | ვიჩენცა-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.50 | 1.14 | 1.38 | 1.68 |
| 19:00 | 116 | ბარი-ვერონა | 1.70 | 2.90 | 6.00 | 1.07 | 1.32 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 117 | სპეცია-იუვენტუსი | 10.00 | 4.60 | 1.25 | 3.15 | 1.11 | 1.00 |
| | | 29 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 118 | ნაპოლი-ჯენოა | 2.15 | 2.80 | 3.60 | 1.21 | 1.34 | 1.57 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 146 | ვილიარეალი-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 23:00 | 151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.67 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.24 | 2.00 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 139 | ბარსელონა-სელტა | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 20:00 | 141 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 20:00 | 142 | ლევანტე-სევილია | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 20:00 | 144 | მალიორკა-უელვა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 145 | სოსიედადი-ბილბაო | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 23:45 | 148 | ბეტისი-ვალენსია | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 20:00 | 149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| 20:00 | 150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 152 | ლორკა-ნუმანსია | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |
| 21:00 | 153 | მალაგა -ჰერკულესი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 21:00 | 154 | მურსია-სალამანკა | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 21:00 | 155 | ეხიდო-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 21:00 | 156 | რეალი(ბ)-კასტელონი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 21:00 | 157 | ვალიადოლიდი-სპორტინგი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 21:00 | 158 | ვეცინდარიო-კადისი | 3.00 | 2.90 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |
| 21:00 | 159 | სერესი-ლას პალმასი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 160 | ელჩე-ალავესი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 21:00 | 161 | პონფერადინა-ალბასეტე | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 21:00 | 162 | ტენერიფე-ალმერია | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 176 | ნანსი-სტ.ეტიენი | 1.95 | 3.00 | 3.90 | 1.18 | 1.29 | 1.69 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 188 | გენიონი-კრეტეი | 1.95 | 2.90 | 3.90 | 1.16 | 1.29 | 1.66 |
| 23:00 | 189 | ისტრი-მონპელიე | 2.35 | 2.70 | 3.20 | 1.25 | 1.35 | 1.46 |
| 23:00 | 190 | ლიბურნი-მეცი | 3.45 | 2.90 | 2.15 | 1.57 | 1.32 | 1.23 |
| 23:00 | 191 | სტრასბური-ნიორი | 1.35 | 3.90 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.67 |
| 23:00 | 192 | აიაჩო-ტუარი | 1.55 | 3.30 | 5.80 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 23:00 | 193 | ბრესტი-ბასტია | 2.60 | 2.70 | 2.85 | 1.32 | 1.35 | 1.38 |
| 23:00 | 194 | გრენობლი-შატორუ | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 195 | რეიმსი-დიჟონი | 2.40 | 2.80 | 2.95 | 1.29 | 1.32 | 1.43 |
| 23:30 | 196 | კაენი-ამიენი | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| | | 29 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 197 | ლე ავრი-გენგამი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 198 | შარლეროა-სტანდარდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 199 | მუსკრონი-გენტი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 23:00 | 201 | ბრიუსელი-ვარეგემი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 23:00 | 202 | ბრიუგე-რუზელარე | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 23:00 | 204 | გენკი-ლიერსი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 23:00 | 206 | ლოკერენი-სერკლი | 2.05 | 3.10 | 3.35 | 1.23 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 207 | სტ.ტრუიდენი-მონსი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:00 | 208 | ვესტერლო-ბევერენი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 209 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 220 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 22:30 | 221 | ტილბურგი-ვიტესი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 222 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:00 | 223 | ნაიმეგენი-ბრედა | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 23:00 | 224 | ალკმაარი-სპარტა | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 17:30 | 226 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:30 | 228 | გრონინგენი-აიაქსი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 17:30 | 229 | როდა-პსვ | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 17:30 | 231 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 232 | კამბური-ოსი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 23:00 | 233 | სიტარდი-მაასტრიხტი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 23:00 | 234 | ალმერე-ვენლო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 235 | ტელსტარი-გრააფსხაპი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 23:00 | 236 | ზვოლე-ეინდჰოვენი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:00 | 237 | დორდრეხტი-აპელდორნი | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| 23:00 | 238 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 22:30 | 239 | როზენდალი-ემენი | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| 22:30 | 240 | დენ ბოსხი-ჰაარლემი | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| | | 29 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 241 | ვეენდამი-იგლსი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 18:45 | 260 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 21:00 | 261 | ეგალეო-ოლიმპია | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| | | 28 იანვარი | | | | | | |
| 17:00 | 262 | ქსანთი-კალამარია | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 17:00 | 263 | ატრომიტოსი-კერკირა | 1.90 | 3.00 | 4.30 | 1.16 | 1.31 | 1.76 |
| 18:45 | 264 | ერგოტელისი-პაოკ | 2.65 | 2.90 | 2.65 | 1.38 | 1.32 | 1.38 |
| 18:45 | 265 | იონიკოსი-არისი | 3.50 | 2.90 | 2.10 | 1.58 | 1.31 | 1.21 |
| 21:00 | 266 | ირაკლისი-აეკ | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| 21:00 | 267 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 27 იანვარი | | | | | | |
| 16:00 | 268 | ანკარაგიუჯიუ-ბურსა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 16:00 | 269 | საკარია-კონია | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 16:00 | 271 | რიზე-ანტალია | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 16:00 | 272 | ტრაბზონი-კაისერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 16:00 | 273 | ბეშიქთაში-მანისა | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 16:00 | 274 | დენიზლი-გაზიანთეფი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 16:00 | 275 | ერჟიესი-ფენერბაჩე | 6.30 | 4.00 | 1.40 | 2.44 | 1.14 | 1.03 |
| 16:00 | 277 | გალათასარაი-ანკარა | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 16:00 | 279 | გენჩლერბირლიგი-სივასპორი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 496 | მილანი-რომა | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 382 | ჰვ 71-ფერიესტადი | 2.05 | 4.00 | 2.55 | 1.35 | 1.13 | 1.55 |
| 22:00 | 383 | ფრიოლუნდა-აიკ | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 20:30 | 396 | ესეტი-ტურკუ | 2.70 | 4.30 | 1.90 | 1.65 | 1.11 | 1.31 |
| 20:30 | 397 | კერპეტი-იუვესკიულე | 1.25 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.56 |
| 20:30 | 398 | ჰელსინკი-იცკერიტი | 2.15 | 4.20 | 2.30 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 20:30 | 399 | ტაპარა-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 413 | ტრჟინეცი-სლავია | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| 20:00 | 414 | ზლინი-კლადნო | 1.70 | 4.20 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.78 |
| 20:30 | 415 | ბუდეიოვიცე-ვსეტინი | 1.15 | 5.50 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 20:30 | 416 | პლზენი-ლიტვინოვი | 1.95 | 4.00 | 2.60 | 1.31 | 1.11 | 1.57 |
| 21:00 | 417 | კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 1.75 | 4.10 | 2.90 | 1.22 | 1.09 | 1.69 |
| 21:00 | 418 | სპარტა-პარდუბიცე | 1.90 | 4.10 | 2.60 | 1.29 | 1.09 | 1.59 |
| 21:30 | 419 | ლიბერეცი-ზნოიმო | 1.50 | 4.30 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.01 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 433 | პოპრადი-მიკულაში | 1.40 | 4.50 | 4.80 | 1.06 | 1.08 | 2.32 |
| 20:30 | 434 | კოშიცე-ზვოლენი | 1.85 | 4.10 | 2.70 | 1.27 | 1.09 | 1.62 |
| 20:30 | 435 | ჟილინა-ტრენჩინი | 3.20 | 4.20 | 1.60 | 1.81 | 1.06 | 1.15 |
| 21:00 | 436 | სლოვანი-მარტინი | 1.40 | 4.40 | 4.80 | 1.06 | 1.08 | 2.29 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 22:30 | 444 | სტრაუბინგი-აისბარენი | 2.50 | 4.20 | 1.90 | 1.56 | 1.07 | 1.30 |
| | | 26 იანვარი | | | | | | |
| 22:30 | 445 | კიოლნი-კრეფელდი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 22:30 | 446 | ჰანოვერი-აუგსბურგი | 1.40 | 4.60 | 4.50 | 1.07 | 1.06 | 2.27 |
| 22:30 | 447 | ჰამბურგი-ინგოლშტადი | 2.15 | 4.10 | 2.20 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 22:30 | 448 | დუისბურგი-ფრანკფურტი | 2.95 | 4.10 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.22 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 25 იანვარი | | | | | | |
| 21:15 | 605 | დინამო-ოლიმპიაკოსი | 1.45 | 12.00 | 2.60 | 1.29 | 1.00 | 2.13 |
| 22:15 | 606 | ულქერი-ნაპოლი | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| 22:45 | 607 | ჟალგირისი-არისი | 2.20 | 12.00 | 1.60 | 1.85 | 1.00 | 1.41 |
| 23:30 | 608 | ლე მანი-ენერგია | 1.22 | 12.00 | 3.80 | 1.10 | 1.00 | 2.88 |
| 23:45 | 609 | ოლიმპია-მაკაბი | 2.90 | 12.00 | 1.30 | 2.33 | 1.00 | 1.17 |
| 23:45 | 610 | ბარსელონა-ცსკა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |

# კარგი ჩემპიონატი კულმინაციის გარეშე

## ბათუმის დარბაზმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა



ჩემპიონატის მთავარი სიურპრიზი ლევან სეთურიძემ შემოგვთავაზა

**მოჭიდავეებმა** 2007 წლის სეზონი ტრადიციულად, საქართველოს ჩემპიონატით გახსნეს. არატრადიციული კი ის იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ პიროველობას რეგიონმა პირველად უმასპინძლა. აჭარის მთავარქალაქი ჩემპიონატს ახალთახალი დარბაზით დაუხვდა და შეჯიბრიც ისეთი გამოვიდა, უკმაყოფილო ვერავინ დარჩებოდა.

საკალათბურთო „ბასკოს“ კოპწია დარბაზის გარშემო მშვენიერი სპორტული ატმოსფეროა შექმნილი. საფეხბურთო მოედნები, რომლებზეც ბათუმის „დინამო“ და ბავშვთა გუნდები ვარჯიშობენ და ორსართულიანი საჭიდაო კომპლექსი, რომელიც საქართველოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა. პირველ სართულზე მდებარე მთავარ დარბაზში სამი ხალიჩა იშლება. ტურნირიც იქ ჩატარდა და სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი, ფინალური შეხვედრების წინასწარ დათქმულ დროზე ჩატარებას პრობლემა რომ არ შექმნილა. პირველსავე სართულზეა განთავსებული მსაჯთა და ჟურნალისტთა ოთახები, საშხაპე და დიდი სასადილო. მეორე სართულზე კი კიდევ ერთი დიდი საჭიდაო დარბაზია. გასულ ტურნირზე იგი მონაწილეებს სავარჯიშოდ დაეთმოთ. წონის დასაკლებად მოძუნძულე, თუ თავისი ჭიდაობის მომლოდინე მოჭიდავეებს იქვე დამონტაჟებულ მონიტორზე პირდაპირ შეეძლოთ მთავარ დარბაზში მიმდინარე მოვლენებისთვის თვალის მიდევნება.

ტელევიზორები სატურნირო ხალიჩების გვერდითაც დაედგათ. ამასთან, ყველა შეხვედრას ცალკე ვიდეოკამერა იღებდა და სადავო ეპიზოდებს მსაჯთა კორპუსი ადგილზევე არჩევდა.

ნორმალურად ორგანიზებულ ტურნირს ხიბლს დაძაბული ჭიდაობებიც მატებდა. უმნიშვნელოვანესი სეზონისთვის ნაკრებები თავიდან კომპლექტდება და შიდა კონკურენციაში ჩართვა აქამდელ პირველ ნომრებსაც მოუხდათ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. სპეციალისტებისგანაც ბევრჯერ მოვისმინეთ, ასეთი საინტერესო საქართველოს ჩემპიონატი, კარგა ხანია, არ გვქონიაო.

ცალკე სასაუბრო თემაა მუდმივად გადაჭედილი ტრიბუნები. 800 დასაჯდომ ადგილზე თავისუფალი სკამის მოძებნა არა თუ ფინალებზე, წინასწარი შეხვედრების დროსაც ჭირდა. დაახლოებით ერთი ამდენი ფეხზე მდგომი უყურებდა ტურნირს. ქომაგობა კი ისეთი იყო, თქვენი მოწონებული. აჭარელი მოჭიდავეები, ამ მხრივ, დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ. აქვე ერთი საინტერესო ამბავიც. ბათუმური დარბაზი ევროპის კადეტთა ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევა. ამ საკითხზე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას საჭიდაო სამყაროს პირველკაცებთან ალბათ უახლოეს მომავალში ექნება საუბარი და ეგებ თანხმობაც მიიღოს. ერთადერთი, რაც პრობლემად შეიძლება იქცეს, მხოლოდ 800-ადგილიანი ტრიბუნაა. სხვა მხრივ კი, დარბაზი თითქმის ყველა ევროსტანდარტს დააკმაყოფილებს.

რაც შეეხება უშუალოდ საჭიდაო ამბებს, სიურპრიზებით დავიწყებთ. ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობის ავტორი ახალგაზრდა ყაზბეგელი ლევან სეთურიძე გახდა. ამ ბიჭმა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატზეც მოიპოვა ვერცხლის მედალი, მაგრამ წლეულს მისგან ფინალში გასვლას მაინც არავინ ელოდა.

სეთურიძემ სენსაცია ნახევარფინალში გამოაცხო, როცა მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონ ლუკა კურტანიძეს სძლია. თავისუფალი სტილის მძიმე წონაში 21 წლის დავით მოძმანაშვილის კვარცხლბეკზე ასვლა მართალია, მოულოდნელობა ბევრისთვის არ ყოფილა, მაგრამ მძიმე წონაში აწევის პირველსავე მცდელობაზე თუ ჩემპიონი გახდებოდა, არ გვეგონა. წესით, გამორჩეულად ათლეტური აღნაგობის მოჭიდავეს ფიზიკურ მომზადებაში უნდა შექმნოდა პრობლემა თავისზე დიდ და გამოცდილ მოწინააღმდეგეებთან. მოხდა კი პირიქით. მოძმანაშვილმა სწორედ ამ ასპექტში გამოიჩინა თავი.

ერთი წონით მაღლა ოქროს დებიუტი მოიწყო ბერძნულ-რომაული სტილის მიმდევარმა, ბორჯომელმა რევაზ ლაშხმაც (60 კგ). ამავე წონის თავისუფალში კი გორელი გიორგი ბალიაშვილის ოქროს მედალი იყო მოულოდნელობა.

ოთხდღიანი ბათუმური ჭიდაობების კულმინაცია ორი მსოფლიოს ჩემპიონის — კურტანიძისა და გიორგი გოგშელიძის ფინალური დაპირისპირება უნდა გამხდარიყო. ამ ბრძოლას ყველა ელოდა, მაგრამ ვერავინ ნახა. კურტანიძისა და სეთურიძის ნახევარფინალი ზემოთაც ვახსენეთ. ამჯერად კი მხოლოდ საშინელ საჭიდაო წესებთან დავაკავშირებთ. არ გვინდა, სენსაციის ავტორის, აშკარად ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭიდავის გარჯა დავაკნინოთ, მაგრამ მის გამარჯვებაში მთავარი როლი მონეტამ შეასრულა. ფრედ დასრულებული ორივე პერიოდის შემდეგ მონეტა სეთურიძის ფერზე დაჯდა. აქედან მომგებიან ქულამდე კი თითქმის აღარაფერია დარჩენილი. მონეტის წესმა ბევრი სხვა თანაბარი ბრძოლის ბედიც გადაწყვიტა.

წარმატებული აჭარული ჩემპიონატით უკვე გამოიკვეთა საქართველოს ნაკრების ის ბირთვი, რომელიც აპრილში, ბულგარეთში ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატზე იბრძოლებს. ზოგ ჩემპიონს ევროხალიჩა თითქმის განაღდებული აქვს, ზოგს კი შიდა კონკურენციაში თავისი პირველობის დამტკიცება გაზაფხულამდე დარჩენილ საერთაშორისო ტურნირებზე მოუწევს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მონატრება და სურვილი

## აკაკი ჩაჩუა დაფიქრდება და იტყვის

**ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე რამდენიმე სიურპრიზს შევესწარით. მათგან ყველაზე სასიამოვნო 66 კილოგრამიანთა ჭიდაობისას ხალიჩაზე აკაკი ჩაჩუას ხილვა იყო. სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი საჭიდაო ფორმაში დიდი ხანი არ გვენახა და ვიცოდით, რომ კარიერა დასრულებული ჰქონდა, მაგრამ... 37 წლის ჩაჩუას სპორტში დაბრუნება წარუმატებელი გამოდგა, თუმცა ოვაციები მართლაც საჩემპიონო ჰქონდა. რაკი ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა, ერთხანს თავს კი ვიკავებდი, მაგრამ ბოლოს მაინც გამოველაპარაკე და არც მინანია. პატარა ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა**

— აქტიურ სპორტს 2004 წელს ჩამოვცილდი. მას შემდეგ არც კი მივარჯიშია. მხოლოდ ორი თვეა, რაც დარბაზში დავბრუნდი და აგერ, ტურნირზეც გამოვედი.

**— დაბრუნების მიზეზი ხალიჩის მონატრება უფრო იყო თუ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კვლავ დამკვიდრების სურვილი?**

— პირველ რიგში მონატრება. თუმც, სიმართლე გითხრათ, თავის გამოცდაც მინდოდა. მაინტერესებდა, შემომრჩა თუ არა წარმატებული ჭიდაობის ძალა. ნაკრებში დაბრუნება კი ყოველთვის სასურველია.

**— მაინც რამ შეგიშალა კვარცხლბეკამდე მისვლაში ხელი?**

— პატარ-პატარა ნიუანსებმა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალი წესებია. ასეთ მოკლე დროში ძნელია ამ წესებთან შეგუება. თუმცა ჩემს თავს ერთი დადებითი სიახლეც შევატყვე. ჭიდაობის დროს სუნთქვა საერთოდ არ მიჭირდა. არადა, აქამდე ეს პრობლემა ყოველთვის მაწუხებდა.

**— ამ ეტაპზე ღირსეული დაბრუნება არ შედგა. კიდევ ეცდები?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. უკვე ისეთ ასაკში ვარ, დაბრუნებაზე სერიოზული დაფიქრება მმართებს. ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და მერე გეტყვით, საბოლოოდ წავალ, თუ ზაფხულში ჩასატარებელ თბილისის საერთაშორისო ტურნირზეც ვიჭიდავებ.



**ოთარ მაღლაკელიძე**





ვახტანგ ნაცვლიშვილი

# ქართველების ევროთასური წყვილ-წყვილი

**სამშაბათი** ბებერ კონტინენტზე ევროთასის დღეა და ამ ტურნირის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მორიგი ტური გაიმართა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ქართველების და მათი გუნდების მონაგარი გვაინტერესებს.

ორივე ჩვენიანის გუნდმა იმარჯვა, ორივემ ხუთეულში ითამაშა და ორივემ 4-4 ქულა გააკეთა. ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესმა“ შინ ბელგიურ „ლიეჟს“ 93:81 მოუგო, ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონმა“ ტალინში დიდი ბრძოლა გადაიტანა იქაურ „კალევთან“ და საბოლოოდ ქულით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა — 75:74.

ისე გამოდის, რომ „ესტუდიანტესის“ მწვრთნელი სანიკიძეს ევროსარბიელზე უფრო ბევრს ათამაშებს, ვიდრე ესპანეთის ჩემპიონატში და ახალგაზრდა ქართველი ფორვარდიც ყველანაირად ცდილობს, საკუთარი ძალა დაამტკიცოს. „ლიმოჟთან“ ვიკამ ხუთეულში დაიწყო და 14 წუთი ითამაშა. 4 ქულასთან ერთად მან 2 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

„ესტუდიანტესი“ ამ გამარჯვებით კიდევ უფრო გამაგრდა ჯგუფის სათავეში და მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი თითქმის გადაწყვიტა.

„დიჟონს“ კი შედარებით უჭირს. ორი საწყისი მარცხის შემდეგ ნაცვლიშვილის გუნდმა როგორც იქნა მოიგო და ახლა ოთხგუნდა ჯგუფში მესამე ადგილზეა.

ტალინურ მატჩში დიჟონელებს გამარჯვება ამერიკელმა ენტონი ლუქსმა მოუტანა, რომელმაც სირენამდე 4 წამით ადრე საშუალო მანძილიდან უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო.

ვახტანგ ნაცვლიშვილმა ჩვეულად უხვად ვერ აგროვა ქულები, თუმც მთლიანობაში საკმაოდ ბარაქიანი სტატისტიკა ჰქონდა — 4 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 4 ჩაჭრა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნეში კალათბურთის კარუზოა, ყველას შლის და ანგრევს



23 იანვარი

**ჩიკაგო 94:86 ატლანტა**
ჩიკაგო: ჰაინრიხი (12 ქულა, 12 პასი), გორდონი (12), დენგი (18), ბრაუნი (15), ვოლესი (11); ნოჩიონი (14), ტომასი (7), სეფოლოშა (5)
ატლანტა: აივი (3), ჯონსონი (29), მ. უილიამსი (22), სმიტი (16), რაიტი (2); ფაჩულია (26 წუთი, 6 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა), ჩილდრესი (3), მედვედენკო (3), შ. უილიამსი (2), ტომპსონი, ჯონსი, სტუდემაიერი

**ორლანდო 92:111 დალასი**
ორლანდო: ნელსონი (18), ჰოვარდი (15 ქულა, 14 მოხსნა), ჰილი (15)
დალასი: ნოვიცკი (33 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ჰოვარდი (25), ტერი (19)

**ვაშინგტონი 105:127 ფინიქსი**
ვაშინგტონი: არენასი (31), ბატლერი (24), დანიელსი (20)
ფინიქსი: ნეში (27 ქულა, 14 პასი), ბელი (21), მერიონი (21), ჯონსი (16), სტუდემაიერი (15), დიაუ (14), ბარბოსა (10 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

**სიეტლი 112:117 დენვერი**
სიეტლი: ალენი (44), უილკოქსი (25 ქულა, 12 მოხსნა), კოლისონი (18 ქულა, 10 მოხსნა)
დენვერი: ენტონი (34), აივერსონი (21 ქულა, 10 პასი), სმიტი (20), ილარიო (17)

**კლიპერსი 115:96 მილუოკი**
კლიპერსი: ბრენდი (25), მობლი (22), კამანი (11 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)
მილუოკი: ბელი (24), პატერსონი (16), ბოიკინსი (14)

**ფილადელფია 102:96 ნიუ ორლეანი**
ფილადელფია: კორვერი (25), იგუდალა (20), მილერი (13 ქულა, 11 პასი)
ნიუ ორლეანი: ბრაუნი (24), მეისონი (17), ვესტი (16 ქულა, 11 მოხსნა)

ატლანტელი „ქორები“ ცუდ დროს გადაეყარნენ ჩიკაგოელ „ხარებს“. „ჩიკაგო“ მალე ვიცე-ჩემპიონ „დალასს“ მასპინძლობს, ამას ჩემპიონი „მაიამი“ მოჰყვება, შემდეგ, თებერვალში კი, არც მეტი, არც ნაკლები, შვიდმატჩიანი ურთულესი ოდისეა აქვს ურჩხულებით დასახლებულ დასავლეთში. ასე რომ, „ხარებისთვის“ უმძიმესი თამაშების წინ ფრთებდაპუტულ „ქორებთან“ შეხვედრა ერთგვარი ფანჯარა იყო და ყველამ იცოდა; რომ ჯორჯიელები მათ ბდღვნად ეყოფოდნენ.

„ქორებმა“ იწვალეს, ფრთები აბუყლაშუნეს და მაინც წააგეს. „საზიზღარი თამაში იყო“ — თქვა აამატჩევს წაგებულთა 29-ქულიანმა ლიდერმა ჯო ჯონსონმა და დაახლოვებით იგივე აზრი გამოთქვა „ჩიკაგოს“ ვეტერანმა მეფარე პიჯეი ბრაუნმა — „ვერ ვითამაშეთ კარგად. ასეთი ჯახირით მომავალ მეტოქეებთან შანსი არ გვექნება, ახლოსაც კი ვერ მივალთ თუნდაც „დალასთან“. ასე რომ, კიდევ ბევრი უნდა მოვუმატოთ.“

ამ ბრაუნს კარგა ხანია, ძირითად ხუთეულში არ დაუწყია თამაში და ახლა მწვრთნელმა სკოტ სკაილზმა არგენტინელი ანდრეს ნოჩიონი თადარიგში რომ განამწესა და მის ადგილას, თავდამსხმელის პოზიციაზე, ბრაუნი დააყენა, ამ უკანასკნელმა ახალგაზრდული აზარტით შეუტია „ატლანტას“ ფარს, რომელიც ერთობ იოლად ასაღები აღმოჩნდა თუნდაც იმის გამო, რომ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი აგერ, უკვე მეხუთე თამაშია, სათადარიგოებში აყურყუტებს თავის საუკეთესო ცენტრ ზაზა ფაჩულიას. ბრაუნმა კი ბენ ვოლესი შეიწყვილა და ამ დუეტმა მარტო პირველ მეოთხედში 17 ქულა პირად ანგარიშზე დაიწერა და თავის გუნდს ეს პერიოდი 27:20 მოაგებინა.

„ატლანტა“ მეორე მეოთხედში ცოტა მოფხიზლდა, მაგრამ მესამე 22:29 დათმო, მასპინძლებს 11 ქულით ჩამორჩა და ბოლო მეოთხედში ბევრს ველარას გახდა.

რაც შეეხება ფაჩულიას, „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა არცთუ შედეგიანად იბურთავა, თამაშიდან 7 სროლიდან მხოლოდ 1 ჩააგდო და 6 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, ზაზამ მოხსნებში იყოჩაღა და 12 ბურთი მოიპოვა ფარზე. სათქმელია, რომ მას 22 დეკემბრის შემდეგ, ანუ ბოლო 12 თამაშში, 10 და მეტი ბურთი არ მოეხსნა.

ჩიკაგოში ჩასვლის წინ კი ძლევამოსილმა „დალასმა“ კიდევ ერთი აღმოსავლური გუნდი იმსხვერპლა და ზედიზედ მოგებათა სერია 8-მდე გაზარდა. წინა ღამით დირკ ნოვიცკიმ და კომპანიამ მაიამიშივე დასცეს ჩემპიონი „მაიამი“ და შარშან პლეი ოფის ფინალში წაგებისთვის შური იძიეს. სამშაბათს კი ტეხასელებმა იქვე, ფლორიდაში, მეორე იქაური გუნდი „ორლანდოც“ მიამარცხეს, თან გაცილებით იოლად. „დალასი“ უკვე პირველ ტაიმში გაიქცა 16 ქულით, მეორეში სხვაობა 25 ქულამდე გაზარდა და დარჩენილი დრო ღლაბუცში გაატარა.

თავად ნოვიცკიმ კიდევ ერთი ზღაპრული თამაში ჩაატარა და პირწმინდად დაჩაგრა ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მეფარე დუაიტ ჰოვარდი. გერმანელ გოლიათს 33 ქულა და 10 მოხსნა მოუგროვდა და ეს მისი 26-ე ორმაგი დუბლი იყო მიმდინარე სეზონში. შარშან მან 26 ორმაგ დუბლს 60-ზე მეტი თამაში მოანდომა.

ამასთან, ნოვიცკის 2 პასით მეტი რომ გაეკეთებინა, სამმაგ დუბლსაც გამოჰკრავდა ხელს. მოკლედ, მის თამაშზე დითირამბების და საუკეთესო ეპითეტების წერაც ალალია. უყოჩაღესად თამაშობს და გუნდსაც მატჩს მატჩზე აგებინებს. მოკლედ, არავის გაუკვირდება, სეზონის ბოლოს უძვირფასეს მოთამაშედაც რომ დაასახელონ. ისე კი ვთქვათ — ნბა-ში არ ყოფილა ამგვარი პრეცედენტი, რომ უპრესტიჟულესი პირადული პრიზი ევროპელს მოეხელთებინოს.

მაგრამ დირკს MVP-ს წოდებაში კიდევ ერთი არაამერიკელი სუპერვარსკვლავი შეეცილება, სტივ ნეში, რა თქმა უნდა. სამხრეთ აფრიკაში დაბადებული და კანადის ერთ-ერთ კუნძულზე გაზრდილი ნეში კიდევ უფრო მოუხელთებელია, ვიდრე წინა წლებში. არადა, ბოლო ორი სეზონია, სწორედ ის ხდება უძვირფასესი მოთამაშე და თუ რეგულარულის ბოლოს ჟურნალისტებმა კვლავ ის ირჩიეს, ნეში უილტ ჩემბერლენის და ლარი ბერდის შემდეგ მხოლოდ მესამე მოთამაშე გახდება, ვინც ეს ჯილდო ზედიზედ სამჯერ იურვა.

მისი თამაში პირდაპირ ანგრევს და შლის მეტოქის დაცვას, ხოლო საკუთარ თანაგუნდელებს უბრალო მოთამაშეობიდან ვარსკვლავობამდე ალაზევებს. ახლაც, მან „ვაშინგტონს“ 27 ქულა უმარჯვა და ამასთან 14 პასიც გააკეთა მაშინ, როცა „ვაშინგტონს“ მთლიანად მოუკოწიწდა 14 პასი.

ფინიქსელებს პირდაპირ სწყუროდათ ვაშინგტონელთა სისხლი. შუა დეკემბერში დედაქალაქელებმა ხომ მათ 15-მოგებიანი სერია შეაწყვეტინეს. „ვაშინგტონთან“ ამ ჯახამდე „ფინიქსს“ ზედიზედ 13 თამაში ჰქონდა მოგებული და ახლა არას დიდებით არ დაუშვებდა, ისევ ამ საშუალო გუნდთან შეეწყვიტა ფანტასტიკური სერია.

ჰოდა, ფინიქსელებმა კიდეც მისავე სახლში გადაყლაპეს „ვიზარდსი“, რომელსაც უხვქულიანი თამაშის გამო აღმოსავლეთ კონფერენციის „ფინიქსობაზე“ ჰქონდა პრეტენზია. პრეტენზიანტებს ფინიქსელმა ამარე სტუდემაიერმა თამაშის შემდეგ სიტყვითაც გასცა პასუხი — „ფინიქსი“ ერთია და ის ჩვენ ვართ!“

მოედანზე მართლაც ერთი „ფინიქსი“ თამაშობდა, რომელმაც თავიდანვე ტორნადოსავით აიტაცა და დაბლა დაახეთქა „ვაშინგტონი“, პირველი მეოთხედი 41:20 (!) დაჩაგრა და მერე ახლოსაც აღარ გაიკარა. ნეშის მეთაურობით და შეწევნით გონდაკარგულ მასპინძლებს ერთბაშად 7-მა სტუმარმა ჩაუკალათა 10 და მეტი ქულა, რამაც ჯამში 127 შეადგინა.

ერთიც: ვაშინგტონელ ჯილბერტ არენასს ბევრი უძვირფასესობის კანდიდატად თვლიდა და აგერ, გამოჩნდა, რომ ის მხოლოდ კანდიდატია და არა რეალური პრეტენდენტი. არენასმა ნეშთან დუელში 31 ქულა კი გააკეთა, მაგრამ თამაშიდან 25 სროლიდან ნახევარზე მეტი, 14 გააფუჭა და პასიც მხოლოდ 5 მოუგროვდა მაშინ, როდესაც ნეშმა 27 ქულა თამაშიდან 13 ნასროლიდან 11-ის ჩაგდებით მოიპოვა, რომ აღარაფერი ვთქვათ პასებზე და საზოგადოდაც, სულ რომ აღარ ვახსენოთ გუნდების თამაშის ხარისხზე ამ ორი გამთამაშებლის გავლენიანობა. მოკლედ, სტივ ნეშმა და მისმა გუნდმა „ვაშინგტონსაც“ და ყველა სხვასაც აჩვენა, ვინაა ნამდვილი და ვინ ყალბი მარგალიტი.

და კიდევ ერთ სუპერგამთამაშებელზე ვთქვათ: „ფილადელფიაში“ ათნახევარი სეზონის გატარების შემდეგ „დენვერში“ გადაბარგებულმა ალენ აივერსონმა, როგორც ჩანს, პირველი მექულის არაოფიციალური სტატუსი იქ დახვედრილ მომბარდირ კარმელო ენტონის დაუთმო და თავად მის და სხვა ახალ თანაგუნდელთა პასებით მომარაგება იდო ვალდებულებად. ენტონიმ და აივერსონმა მეორე თამაში ჩაატარეს ერთობლივად და კვლავ მოიგეს, სიეტლში მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს იქაური „სუპერსონიქსი“. აივერსონს კვლავ ენტონიზე ცოტა ქულა მოუგროვდა — 21 კარმელოს 35-ის წილ — მაგრამ სამაგიეროდ, 10 პასი გააზერხა და ორმაგი დუბლი შეიფარდა.

ისე კი, დიდი შანსი იყო, „დენვერს“ ეს თამაში ვერ მოეგო. „სიეტლი“ სამი მეოთხედი ყოჩაღად იდგა და გადამწყვეტ 10-წუთეულში კიდევ უფრო გაუთჩნდა ძლიერ მეტოქეს. მასპინძელთა ლიდერმა რეი ალენმა ბოლო პერიოდში სულ აიღო თავზე ხელი, 5 სამქულიანი დააქუხა და ამ მეოთხედში 22 ქულა დაახეტა თავს „დენვერს“, მაგრამ როგორც გაირკვა, ამაოდ დაშვრა.

**კოტე ყორშია**



ზაზა ფაჩულია
პიჯეი ბრაუნს უფარებს

## ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი. 15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $



AFP მელბურნიდან

# გონსალესის ნადავლი: ჰიუიტი, ბლეიკი და ნადალი

24 იანვარი

### კაცები

### მეოთხედფინალი

ტომი ჰაასი (12, გერმანია) — ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი) 6:3 2:6 1:6 6:1 7:5; ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:2 6:4 6:3

### ქალები

### მეოთხედფინალი

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ანა ჩაკვეტაძე (12., რუსეთი)7:6 7:5; კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — მარტინა ჰინგისი (6, შვეიცარია) 3:6 6:4 6:3

**ოთხშაბათს** როდ ლეივერის სახელობის კორტზე შეკრებილმა მაყურებელმა ოთხი უმაღლესი დონის სანახაობა იხილა. გუშინდელ მეოთხედფინალებში იყო ყველაფერი ის, რის გამოც უყვართ სპორტის ეს სახეობა — განსხვავებულ სტილთა ჯახი, ულამაზესი კომბინაციები და ყველა ბურთისა და გათამაშებისთვის ბოლომდე ბრძოლა.

ერთი ეგაა, რომ მეოთხედფინალები განსხვავებული შედეგებით დამთავრდა — თუ ქალთა შორის მათ მოიგეს, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა, კაცებში პირიქით, ფავორიტები დაიფრინეს და რამდენიმე საათიანი ინტერვალით ტურნირის მეორე და მესამე ნომრებს სახლის ბილეთები გამოუწერეს.

ჩვენ ქალთა შეხვედრების მიმოხილვით დავიწყოთ, რადგანაც გუშინ ორივე წყვილმა სუპერწარმოდგენები დადგა. ამ მატჩებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ დღესდღეობით ფიზიკური მომზადება და ძალისმიერი თამაში კვლავაც ჯობნის კომბინაციურ ჩოგბურთს და ამ ტენდენციას კარგა ხანს შეცვლა არ უწერია.

ქებას იმსახურებს ანა ჩაკვეტაძე, რომელმაც თავისი ლაღი თამაშით ბლომად გულშემატკივარი შეიძინა. თუმც გუშინ ანას შანსებს სერიოზულად არავინ აღიქვამდა — მისი მეტოქე მარია შარაპოვაც 19 წლისაა, მაგრამ მათ გამოცდილებას შორის უზარმაზარი სხვაობაა. მაშამ ხომ დიდ ჩოგბურთში უკვე ყველაფერი ნახა — უმაღლესი ტრიუმფიცა და დიდი იმედგაცრუებაც. სწორედ ამიტომ ყველა თვლიდა, რომ შარაპოვას პრობლემების გარეშე უნდა გაევლო ეს ბარიერი. თუმც ჩაკვეტაძემ ბრძოლაც გაუმართა თავის სახელიან მეტოქეს, ბევრიც აწვალა და მთელი სული და გული ჩაადებინა ამ გამარჯვებაში. რაკი იცოდა, რომ ძალისმიერ თამაშში ვერას გახდებოდა, ანამ ჭკვიანური სტრატეგია აირჩია და უსწრაფესი ტემპის შეთავაზებით მეტოქის დაღლა გადაწყვიტა. სწორედ ამიტომ, შეხვედრის დიდი ნაწილის განმავლობაში შარაპოვა თავქუდმოგლეჯილი დარბოდა კორტის საკუთარ ნახევარზე, მეტოქის დარტყმები რომ უკუეგდო.

ასეთი ტაქტიკა თითქმის ყველასთან გაამართლებდა, მაგრამ... ჩაკვეტაძის სამწვრთნელო შტაბმა ბოლომდე ვერ გაითვალისწინა შარაპოვას ფიზიკური მომზადების დონე — მაშამ ბევრი კი ირბინა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ერთ ამდენს კიდევ იფრენდა კორტზე. სამაგიეროდ, სწრაფმა თამაშმა თვითონ ჩაკვეტაძე დაღალა და ანაც თავისივე შეთავაზებულ ტემპს ველარ აჰყვა.

მოკლედ, შარაპოვამ ჯერ პირველ სეტში ტაიბრეიკზე იხეირა და დაწინაურდა, მეორე პარტიაში კი მხოლოდ ბოლოსკენ გააკეთა საჭირო ბრეიკი და ნახევარფინალში გავიდა.

ასეთივე სტილისა გამოდგა ქალთა მეორე მეოთხედფინალიც — ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ აქ უკვე ზრდასრული ოსტატები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

კიმ კლაისტერსი ალბათ ცხოვრებაში პირველად ნანობდა, რომ მისი პროგნოზი გამართლდა. საქმე იმაშია, რომ პირველობის დაწყებამდე ბელგიელმა განაცხადა, მარტინა ჰინგისისგან წლეულს თავის ძველ დონეზე გასვლას ველიო. ჰოდა, კიმის საუბედუროდ, ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ თავისი საუკეთესო თამაში შვეიცარიელმა სწორედ კლაისტერსთან შეხვედრაში აჩვენა.

ჰინგისი იმავე ტაქტიკით დაუპირისპირდა ბელგიელს, როგორითაც ჩაკვეტაძე შარაპოვას — შვეიცარიელმა მეტოქის ფიზიკური გამოფიტვა მოინდომა. ანასგან განსხვავებით, მარტინამ თავიდან წარმატებასაც მიაღწია და საწყისი სეტი მოიგო კიდეც. თუმც ფიზიკურმა ძალამ აქაც თავისი გაიტანა და კლაისტერსმაც წვალებით, მაგრამ მაინც შემოატრიალა თამაში თავის სასარგებლოდ, რითაც შარაპოვასთან რანდევუ გაინაღდა.

შეიძლება ითქვას, რომ კარიერის პიკზეა ფერნანდო გონსალესი, რომელსაც ველარავინ აკავებს. ლეიტონ ჰიუიტისა და ჯეიმს ბლეიკის გამგდებმა ჩილელმა არც მსოფლიოს მეორე ჩოგანი რაფაელ ნადალი დაინდო და ბრწყინვალე სტილში, სამ სეტში გამოუყვანა წირვა. გონსალესმა ყველა მსურველს დაანახვა მუდმივად ბოლომდე მებრძოლი ესპანელის დამარცხების რეცეპტი — ჩილელმა სუპერშემტევი და ზეაქტიური ჩოგბურთით მიწასთან გასწორა თავისი გოროზი მეტოქე. საერთოდ, ამდაგვარი თამაში შეცდომების დაშვების რისკს ზრდის, მაგრამ სამხრეთამერიკელი ამ მხრივაც თითქმის უნაკლო იყო — გონსალესმა ესპანელზე ორჯერ ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა.

დაცვაში თამაში ნადალისთვის უცხო ხილი ნაღდად არ არის და ასე მას არაერთხელ უმარჯვია, მაგრამ ჰარდზე მხოლოდ მოგერიებაზე ჩოგნაობის შესაძლებლობები გრუნტთან შედარებით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ესპანელი უიმედოდ იყო. მალიორკელი განსაკუთრებით გონსალესის ფორჰენდმა ხელწალმა დარტყმა) აზარალა, რომელსაც რაფამ ვერაფერი მოახერხა. სამაგიეროდ, ჩილელმა მშვენივრად იცოდა ნადალის არცთუ დამაჯერებელი ბექჰენდის შესახებ, რასაც ფერნანდო მშვენივრად იყენებდა. მოკლედ, ესპანელმა კინკილა ბრეიკიც ვერ გააკეთა, სამაგიეროდ, ხუთჯერ დათმო თავისი მოწოდება და ბუნებრივია, რომ წინ გონსალესი გაატარა.

ამაზე დაძაბული, მაგრამ ნაკლებ სანახაობრივი გამოდგა ტომი ჰაასისა და ნიკოლაი დავიდენკოს შეხვედრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფავორიტმა აქაც წააგო — გერმანელმა შური იძია ხუთიოდე თვის წინ აშშ-ს ღია პირველობის მეოთხედფინალში განცდილი მარცხის გამო და ავსტრალიაში მესამე ნომრად განთესილი რუსი ხუთ სეტში წააქცია.

ჰაასმა მეტოქე მისივე იარაღით — უკანა ხაზიდან თამაშში დაჯაბნა. ხოლო ვინაიდან დავიდენკოს სხვა ღირებული არგუმენტი არ აღმოაჩნდა, გონსალესს ფინალის ადგილს გერმანელი შეეცილება.



AFP მელბურნიდან

ანა ჩაკვეტაძე მარია შარაპოვას: ახლა შენი დროა...



# კლიჩკო კლიჩკოს ჭირად

## ვიტალის დაბრუნება ვლადიმირს გეგმებს ურევს

**არ დააღგა** საშველი პროფესიული კრივის მძიმე წონაში საჩემპიონო ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლების ჩატარებას — ამაზე ყველა მხოლოდ ლაყბობს, მაგრამ საქმეს წინ ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა და საერთოდ შედგება თუ არა ერთი ასეთი ჯახი, ჯერაც არავინ იცის.

ყველაზე სავარაუდო მაინც IBF-ის ვერსიით ჩემპიონ ვლადიმირ კლიჩკოსა და WBC-ს ჩემპიონ ოლეგ მასკაევს შორის ბრძოლაა — ამაზე უკვე ორი თვეა, სერიოზულად საუბრობენ, მაგრამ აქაც დიდი გაურკვევლობაა.

ვითარების ახსნას უმცროსი კლიჩკო შეეცადა — „სიამოვნებით ვეჩხუბებოდი მასკაევს. ეგაა, დღესდღეობით ბრძოლის გასამართად მხოლოდ მოკრივის სურვილი საკმარისი არ არის. ყველა ჩემპიონს თავის ასოციაციებთან გარკვეული ვალდებულებები აკავშირებს, რის გამოც მათ სავალდებულო კანდიდატებთან უწევთ ბრძოლა და ტიტულის დაცვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქამრების გაერთიანებაზე ფიქრი... ახლა მეც მხოლოდ რეი ოსტინთან ჩემს მომავალ ჯახზე ვფიქრობ" — ენად გაიკრიფა კლიჩკო.

როგორც ხედავთ, ვლადიმირმა მიზანში მაინდამაინც მასკაევი ამოიღო, მაგრამ აქ უკრაინელს შეიძლება, ხელი მოეცაროს. რატომ? იმიტომ, რომ რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა უფროსმა კლიჩკომ, ვიტალიმ. და ვლადიმირის მასკაევთან ჩხუბი რაღა შუაშია? იმაშია, რომ ვიტალი კრივიდან წასვლამდე სწორედ იმ ქამარს ფლობდა, რომლითაც ახლა მასკაევი იწონებს თავს.

აგერ, ახლა ვიტალი თავისთავად ხდება WBC-ის ტიტულის სავალდებულო პრეტენდენტი — ეს უკვე გადაწყვეტილია, ამიტომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ვლადიმირს მასკაევის გალახვა ძმამ დაასწროს. ხოლო ვინაიდან კლიჩკოებს არაერთხელ უთქვამთ, ერთმანეთს არასდროს ვეჩხუბებითო, დიდი შანსია, ვლადიმირმა სამუდამოდ დაკარგოს ამდენ ხანს ნაოცნებარი ქამრის მოპოვების შანსი.

**კახა ლომაძვილი**

ჭადრაკი

# ბულგარელი სომეხს ინგლისურად ეთამაშა

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | ლუკ ვანველი (ჰოლანდია) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1:0 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0:1 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |




სპეციალისტთა აზრით, სუპერტურნირს ვესელინ ტოპალოვი მოიგებს. მეცხრე ტურში ბულგარელმა დიდოსტატმა ლევონ არონიანს გაუყო ქულა და უახლოეს მდევარს კვლავაც ნახევარი ქულით უსწრებს. მთავარი ბრძოლა ტოპალოვს შაბათს ვლადიმირ კრამნიკთან ელის, თუმც იმ ჯახში ბულგარელს თეთრი ფიგურები ეყოლება და ამით მცირე უპირატესობაც ექნება.

არონიანმა და ტოპალოვმა ინგლისური პარტია გაითამაშეს. სომეხმა დებიუტში მხედრები გამოუშვა, მეფე საიმედოდ დააბინავა და წინა ხაზის გაძლიერებას შეუდგა. ტოპალოვმა ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა, აქცენტი ლაზიერის ფლანგზე გადაიტანა და მეტოქეს შეუტია. არონიანმაც ძალები მარცხნივ გადმოსხა, შავებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და 28-ე სვლაზე ყაიმზე დაიყოლია.

ნახევარი ქულა დაკარგა მეორეადგილოსანმა თეიმურ რაჯაბოვმა. 19 წლის აზერბაიჯანელი თავისზე ორი წლით უმცროს მაგნუს კარლსენს 21-ე სვლაზე დაუზავდა.

რაჯაბოვმა თავის ტაქტიკას არც ამჯერად უღალატა და იერიშებს დებიუტშივე მიმართა. კარლსენი მეტოქის შეტევებს არ შეუშინდა, საპასუხოდაც დაარტყა და პარტია მშვიდობით დასრულდა.

პირველი პარტია მოიგო ალექსეი შიროვმა, მაგრამ მაინც ბოლო ადგილზე დარჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

სატურნირო ვითარება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი | 6,5 |
| 2. | თეიმურ რაჯაბოვი | 6,0 |
| 3. | ლევონ არონიანი | 5,5 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 5,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 5,5 |
| 6. | სერგეი კარიაკინი | 5,0 |
| 7. | ვიშვანათან ანანდი | 5,0 |
| 8. | რუსლან პონომარიოვი | 4,5 |
| 9. | დავიდ ნავარა | 4,0 |
| 10. | ალექსანდრ მოტილევი | 3,5 |
| 11. | სერგეი ტივიაკოვი | 3,5 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 3,0 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 3,0 |
| 14. | ალექსეი შიროვი | 2,5 |

ფიგურული სრიალი

# ახალი გერმანელები

გუშინწინ ვარშავაში დაწყებული ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი მოულოდნელობა მოხდა, მაგრამ სანამ ამაზე ვიტყოდეთ, ის ვთქვათ რომ გუშინდელი დღე სპორტული წყვილებისა და მოცეკვავეების, შესაბამისად მოკლე და სავალდებულო პროგრამებს დაეთმოთ.

მოულოდნელობა რომ ვახსენეთ, ეს ალიონა სავჩენკოსა და რობინ შოლკოვის სპორტულ წყვილს ეხებათ. ერთი აქვე დავაკონკრეტოთ — სავჩენკო და შოვკოვის უკრაინელები არიან, მაგრამ დალხენილი ცხოვრების მაძიებელნი გერმანული დროშის ქვეშ სრიალებენ.




AFP ფოტო

სიტყვა გაგვიგრძელდა და სავჩენკო-შოლკოვის დუეტმა მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ უკან მოიტოვა მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი რუსების მარია პეტროვას და ალექსეი ტიხონოვის წყვილი.

გერმანელებს ახლა 65,38 ქულა აქვთ, პეტროვას და ტიხონოვს კი 62,22 ქულა, რაც თავისუფალი პროგრამის წინ არცთუ დიდი სხვაობაა. გერმანელებს და რუსებს დიდი გვარიანად ჩამორჩნენ მასპინძელი პოლონელები — დოსიტა სიუდეკი და მარიუშ სიუდეკი 57,81 ქულით მე-3 ადგილზე არიან.

რაც შეეხება მოცეკვავეებს, აქაც დასავლეთ ევროპელები ყოჩაღობენ. სავალდებულო პროგრამის შემდეგ მცირედი სხვაობით ამქარს ფრანგები დელობელი-შონფელდერის (39,57 ქულა) წყვილი ლიდერობს, მეორე ადგილზე აქაც რუსები დომნინა და შაბალინი არიან 38,99 ქულით, ხოლო ამათ კუდში მისდევენ ბელგიელები დენკოვა და სტავიისკი.

ხვალ ტურნირის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ნაწილი ქალთა ციგურაობა იწყება და ჩვენი ელენე გედევანიშვილიც მოსინჯავს ვარშავულ ყინულს.

**ბაჩო სვანიძე**

ხელბურთი

# მსოფლიოს XX ჩემპიონატი

კაცები. გერმანია. 19 იანვარი — 4 თებერვალი

## მეორე ჯგუფური ეტაპი

# ფავორიტებმა საქმე გაირთულეს

## საფრანგეთი და გერმანია ნულიდან იწყებენ



AFP

პირველი ჯგუფური ეტაპის მთავარი მოულოდნელობა გახდა ისლანდიელების მიერ მსოფლიოს ორგზის გვირგვინოსან და ევროპის ამჟამინდელ ჩემპიონ ფრანგთა მართლაც რომ განადგურება, რადგან ფავორიტთა რვაბურთიან წაგებას — 24:32 სხვა არ ეთქმის.

ფრანგებს ასე უკბილოდ კარგა ხანია არ უთამაშიათ, უკვე საწყის შვიდ წუთში 0:5 ჩამორჩნენ, სულ კი პირწმინდად წაგებულ ტაიმში სასირცხვილოდ ცოტა, ოდენ რვა გოლის გატანა მოახერხეს — 8:18. კუნძულელთა შემადგენლობაში ამჯერად არ ყოფილა მეკარე როლანდ ერაძე.

კი იყო ხმები, ჩემპიონატის ყველაზე ხნოვანმა გუნდმა, რაკი ჯგუფიდან გასვლა ვადამდე განაღდებული ჰქონდა, ძალები დაზოგაო, მაგრამ ეს წაგება ხომ მეორე ეტაპზე გადაჰყვება, ამდენად ფრანგმა ხელბურთელებმა საპლეიოფო გზა გაირთულეს.

შეგახსენებთ, ექვსგუნდა ჯგუფებიდან ოთხ-ოთხი უძლიერესი სამედლო ბრძოლას გააგრძელებს. ეს კი „ბდღვნად" ნამდვილად ღირს, რადგან, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, პრიზიორები მედლებთან ერთად ფულად ჯილდოსაც გამოკრავენ ხელს — შესაბამისად 100 ათას, 60 და 40 ათას დოლარს მიიღებენ.

ფრანგების ანალოგიურ, მარცხიან ვითარებაში არიან ფავორიტი მასპინძლებიც. გერმანელთა წინსვლა ასევე მოულოდნელად შეაფერხეს პოლონელებმა, რომლებიც წინა მსოფლიო 24-ნაკრება ფორუმზე საერთოდ ვერ მოხვდნენ. ზედაძაბული მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე გერმანელები წინ იყვნენ — 23:21, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, მიყოლებით ხუთი ბურთი გაუშვეს და შეხვედრის ბედიც გადაწყდა — 25:27.

წუხელ მეორე ჯგუფური ეტაპის თამაშები დაიწყო.

**გია ახალაძე**

პირველი ჯგუფი

გერმანია 35:29 სლოვენია

ისლანდია 36:30 ტუნისი

საფრანგეთი 31:22 პოლონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 68:54 | 4 |
| გერმანია | 1 | 0 | 1 | 60:56 | 2 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 63:62 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 55:54 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 49:56 | 2 |
| ტუნისი | 0 | 0 | 2 | 57:70 | 0 |

მეორე ჯგუფი

უნგრეთი 28:25 ჩეხეთი

ესპანეთი 33:29 რუსეთი

ხორვატია 28:26 დანია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 68:58 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 60:53 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 58:54 | 4 |
| დანია | 0 | 0 | 2 | 55:58 | 0 |
| რუსეთი | 0 | 0 | 2 | 56:65 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 2 | 54:63 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge